ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

21 ივნისი, 2017 | ოთხშაბათი, №7 (2209)

მარიამ ლორთქიფანიძე: „უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე უნდა იკითხებოდეს საქართველოს ისტორიის კურსი“

„ასეთი რამ იშვიათად ხდება: 95 წლის ღვაწლმოსილი პროფესორი ზის დარბაზში და მას სტუდენტები და კოლეგები სახელოვან იუბილეს ულოცავენ. დიახ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს ზეიმობს საუნივერსიტეტო ოჯახის ერთ-ერთი გამორჩეული წევრის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოსის, ისტორიკოსთა მრავალი თაობის აღმზრდელის, საზოგადო მოღვაწის, პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძის 95 წლის იუბილეს“, — ამ სიტყვებით გახსნა 13 ივნისს საიუბილეო ღონისძიება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა.

იუბილარი კი ჩვეული სიდინჯით და მოკრძალებით იჯდა იმ აუდიტორიის წინაშე, რომელსაც თავის დროზე თავად გაუკვალა გზა წარმატებებისკენ.

უნივერსიტეტს მარიამ ლორთქიფანიძე ახსოვს ენერგიული, შემართული და მუდმივად საქმიანი. მისი დინჯი საუბარი და უმდიდრესი ინფორმაციით დატვირთული ლექციები კი დღემდე აღაფრთოვანებს სტუდენტობას. იგი რეალურად არის ხიდი ძველ და ახალ თაობას შორის; არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა, რომელსაც საკუთარი ქვეყანა უყვარს; როგორ უნდა იღვაწოს მეცნიერმა, რომელსაც მომავალი თაობის აღზრდის გედნიერება ხვდა წილად.

„თაობათა კავშირის გარეშე საუნივერსიტეტო ცხოვრება შეუძლებელია. მეტიც, თაობათა კავშირის გარეშე უნივერსიტეტის იდეაც მკვდარია. ქალბატონმა მარიამმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში მრავალი ფორმაცია, რეფორმა და გარდაქმნა გამოიარა, მაგრამ ყოველთვის ჰქონდა სწორი ორიენტირები და თავის სტუდენტებსაც ამ ორიენტირებზე ზრდიდა. საქართველოს ნებისმიერ კუთხეში შეგხვდებათ ადამიანი, რომელიც სიამაყით გეტყვით — „დიახ, მე უნივერსიტეტში ლექციებს ლეგენდარული პროფესორი მარიამ ლორთქიფანიძე მიკითხავდა“. ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე სჭირდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე სჭირდება ქართულ საზოგადოებას, ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე სჭირდება საქართველოს!“ — აღნიშნა ნანა გაფრინდაშვილმა.

გვ. 3

რას ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მერიასა და საკრებულოსთან გაფორმებული მემორანდუმი?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 5 ივნისს თბილისის მერიასა და საკრებულოსთან თანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა. მემორანდუმებს ხელი თსუ-ს რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა მოაწერეს.

მემორანდუმი გაფორმდა სასწავლო პროგრამის ფარგლებში. როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა თამარ დოლბაიამ განაცხადა, ფაკულტეტზე შეიქმნა ახალი სამაგისტრო პროგრამა – „განვითარების კვლევები და ადგილობრივი თვითმმართველობა“. „ფაკულტეტზე ამ პროგრამის შექმნა და დანერგვა არსებულმა გამოწვევებმა გვიკარნახა. დღეს მსოფლიოში მწვავედ დგას მდგრადი განვითარების სწორი გამოყენების, ეკოლოგიური, მიგრაციული და სხვა პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა ადგილობრივი დონიდან იწყება. ამიტომაც დავაწყვილეთ მდგრადი განვითარება და ადგილობრივი მმართველობის შესწავლა, რათა სტუდენტს ჰქონდეს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალება“, – აღნიშნა მან.

გვ. 4

ოზონატორების ფართომასშტაბიანი წარმოების დაწყების შემთხვევაში მოგების ნაწილს თსუ მიიღებს



გვ. 2

ნომერში

■ ქართული დელეგაცია ერევნის უნივერსიტეტში
გვ. 4

■ გლობალური ეკონომიკა და სავალუტო ფონდის როლი მსოფლიოში
გვ. 6

■ როგორ ავიცილოთ ხორბლის ჩანასახის ტოქსიკური მოქმედება კვების დროს?
გვ. 6



■ ელგუჯა ხინთიბიძე: ძალიან უნდა გიყვარდეს ის საქმე, რომელსაც ასწავლი
გვ. 5

■ „ონომასტიკის ექვთიმე თაყაიშვილი“ ივანე ჯავახიშვილის მედლით დააჯილდოვეს
გვ. 7

■ ადამიანის ადრეულ ასაკში განვითარებაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორები
გვ. 9

■ ჩაის ცერემონიის ხელოვნება და ჰარუე კაიტანის რიტუალი
გვ. 12

მეცნიერების კომერციალიზაცია

ოზონატორების ფართომასშტაბიანი წარმოების დაწყების შემთხვევაში მოგების ნაწილს თსუ მიიღებს

ნატო ოზოლაძე

თსუ-ს ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მიმდინარე ინოვაციური კვლევები, რომლებითაც ამერიკის კონგრესის ფონდი დაინტერესდა, ფინალურ ეტაპზეა. მრავალპროფილიანი ოზონატორების, ჰიდროაკუსტიკური მოწყობილობების ახალი მეთოდით შექმნამ დანადგარების თვითღირებულება და მუშაობის პროცესში ენერგიის მოხმარება მნიშვნელოვნად შეამცირა. თსუ-ს მკვლევრების გამოგონება სერიოზულ კონკურენციას უწევს კანადურ, იაპონურ და ჩინურ ანალოგებს. უკვე გამოიკვეთა რეალური შესაძლებლობები ბიზნესისა და მეცნიერების დაახლოების პროცესში. გაჩნდა შესაძლებლობა, რომ თსუ-ში არსებულმა ინტელექტუალურმა რესურსმა უნივერსიტეტს დამატებითი ფინანსური შემოსავალი მოუტანოს. ნახევარგამტართა ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებთან ერთად კვლევის პროცესში სტუდენტების ჩართულობაც მაღალია.

თსუ-ს ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ოზონის მისაღები ახალი ორიგინალური კონსტრუქციის ოზონოგენერატორი შეიმუშავეს. ინოვაციურ იდეას მკვლევართა ჯგუფი, თსუ-ს ნახევარგამტართა ფიზიკის ინსტიტუტის ფოტოენერგეტიკის განყოფილების ხელმძღვანელის ვასილ შველიძის თაოსნობით, 30-40 წლის მანძილზე ამუშავებდა. შედეგად, შესაძლებელი გახდა მრავალპროფილიანი ოზონატორების შექმნა, რომელთა თვითღირებულება, არსებულ ანალოგებთან შედარებით, 2-ჯერ ნაკლები დაჯდება და მოხმარების პროცესშიც გაცილებით ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარს. შედეგად მიიღება აქტიური ჟანგბადი (O_3) – ოზონი, რომელსაც გააჩნია უნიკალური ანტიბაქტერიული და ანტისეპტიკური თვისებები; სპობს ჭუჭყს, არასასურველ სუნს და პროდუქტს უნარჩუნებს სიქორფეს; მოწყობილობა გამოიყენება ხორცის, ხილის, ბოსტნეულის, ჰაერისა და წყლის გასუფთავებისთვის, რომლებიც დაბინძურებულია მავნე მიკრობიოლოგიური წარმონაქმნებით.

თსუ-ს მეცნიერთა იდეით ამერიკის კონგრესთან არსებული სპეციალური მიზნით შექმნილი ფონდიც დაინტერესდა. მიმდინარეობს მოლაპარაკებები მრავალპროფილიანი ოზონატორების სრულმასშტაბიანი წარმოების დასაწყებად. კონგრესის წარმომადგენლებთან რამდენიმე სამუშაო შეხვედრა უკვე გაიმართა. პროექტი განხორციელებადია. ამერიკული მხარე მზად არის ქართული კონსტრუქციის ოზონატორების წარმოების დასაწყებად მეცნიერები სათანადო დაფინანსებით უზრუნველყოს.

როგორც სამუშაოების მთავარმა კონსტრუქტორმა, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსმა ჯანო ბურჯანაძემ აღნიშნა, შემოთავაზებული ინოვაციური კონსტრუქციის ოზონატორები იმით არის მიმზიდველი, რომ ენერგოკვების სხვადასხვა წყაროების (ჩვეულებრივი ელექტროქსელი, მანქანის აკუმულატორი, მზის პანელები და ა.შ.) გამოყენება შეიძლება.

„ბაზარზე არის სხვადასხვა დანიშნულების და სხვადასხვა წარმადობის ოზონატორები. არსებულ ანალოგებს ჩვენს მიერ შეთავაზებული სქემის დაბალი თვითღირებულებითა და, ასევე, დაბალი საექსპლუატაციო ხარჯებით: დაახლოებით 3,5-ჯერ უფრო იაფია, ვიდრე ბაზარზე არსებული კანადური, ჩინური ან იაპონური წარმოების. ამერიკის კონგრესის ფონდი დაინტერესებულია და დაგვეხმარება გრანტის მოძიებაში ან დაინტერესებული სპონსორის პოვნასა თუ, უკიდურეს შემთხვევაში, დაბალპროცენტიანი კრედიტის აღებაში. პროექტი, საწყის ეტაპზე, დაახლოებით, 100-150 ათასი დოლარის ღირებულებისაა. მისი განხორციელების შემთხვევაში, იგეგმება უკვე არსებულ ბაზაზე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ქარხნის აშენება და ფართომასშტაბიანი წარმოების დაწყება. რა თქმა უნდა, ეს გახდება ერთგვარი შემოსავლის წყარო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის და სპონსორი ორგანიზაციაც მოგების წილს მიიღებს“, – აღნიშნა ვასილ შველიძემ.

ნახევარგამტართა ფიზიკის ინსტიტუტი უახლოეს მომავალში ხელშეკრულებას გააფორმებს ერთ-ერთ ქართულ კომპანიასთანაც (კომპანიის სახელი ჯერჯერობით არ ხმაურდება). თსუ-ს მეცნიერები აპირებენ კომპანიისთვის კენკროვანი ხილის შესანახად ოზონატორის დამზადებას, რომლის საწყისი ღირებულებაც, დაახლოებით, 2500 დოლარის ფარგლებში იქნება. აღნიშნული შეკვეთის შესრულება იქნება ერთგვარი საჩვენებელი აქციაც სხვა ქართული კომპანიებისთვის.

ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ახალი ოზონატორების შექმნის პროცესში, ცნობილ სპეციალისტებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობს თსუ-ს ფიზიკის და ქიმიის სპეციალობის 12 სტუდენტი. სტუდენტები, ამერიკის კონგრესის ფონდთან მიმდინარე მოლაპარაკებების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ქართული წარმოების მრავალპროფილიანი ოზონატორების შექმნაში მიიღებენ მონაწილეობას. მანამდე კი უკვე შედგენილი აქვთ პროექტი და უახლოეს მომავალში წარადგენენ თსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების კონკურსზე.

პროექტი გულისხმობს წიგნების გაწმენდას მავნე ბაქტერიებისგან. იდეის თანაავტორები არიან ფიზიკის სპეციალობის III კურსის სტუდენტები: გიორგი კახიძე და საბა გოგინავა. მათ ნახევარგამტართა ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებთან ერთად უკვე შექმნეს სპეციალური ოზონატორის საცდელი ვერსია. მოწყობილობა წარმოადგენს ერთგვარ კონტეინერს, რომელშიც თავსდება დაზიანებული წიგნი, შემდეგ იგი სპეციალური ხელთათმანების საშუალებით იფურცლება და ოზონის მეშვეობით იწმინდება.

„ჩვენ უკვე მზად გვაქვს პროექტი, რომელიც ოზონატორის შექმნისთვის საჭირო მასალის შეძენას და ახალი კონსტრუქციის შემუშავებას ითვალისწინებს. საჭიროა ოზონომეტრის შეძენაც, რისი მეშვეობითაც გარემოში არსებული ოზონის რაოდენობის გაკონტროლება მოხდება. საწყის ეტაპზე რამდენიმე წიგნს ვიღებთ, რომ ზუსტი შედეგები დავაფიქსიროთ. კვლევა ჩატარდება შემოთავაზებული მეთოდის ეფექტურობის დასადგენად – იგულისხმება ოზონის მომატებული წნევა და ტემპერატურული რეჟიმი. კვალიფიციურ ქიმიკოსებთან კონსულტაციები გავიარეთ. მათი აზრით, წიგნის ამ მეთოდით გაწმენდას არანაირი უარყოფითი შედეგი არ უნდა ჰქონდეს ნაწერის მცირედით წაშლისა და ქაღალდის გაუფერულების გარდა“, – განაცხადა გიორგი კახიძემ.

„რაც შეეხება აპარატს, ეს გახლავთ ჰერმეტულად დაცული ვაკუუმტუმბო, რომელიც ჰაერს ტუმბავს და შედის ოზონი, შემდეგ კი ოზონიც გააქვს გამწოვის მეშვეობით. ოზონი ჰაერში ნახევარი საათის შემდეგ იშლება და გადადის ჩვეულებრივ ჟანგბადში, მაგრამ, რადგან ჩვენ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ვატარებთ კვლევებს, გამომავალ ოზონს ვათავსებთ წყალში, სადაც ის, დაახლოებით, 2 საათში ნეიტრალდება და გარემოსთვის უსაფრთხოა“, – აღნიშნა საბა გოგინავამ.

ოზონატორში მოთავსებული წიგნის გადაფურცვლით დიდი რაოდენობის წიგნების გაწმენდა ვერ მოხერხდება. პროექტის მეორე ნაწილი გაცილებით მასშტაბური ოზონატორის შექმნას ითვალისწინებს, სადაც დიდი რაოდენობის დასამუშავებელი მასალა მოთავსდება და გაწმენდა ოზონირებული ჰაერის მომატებული წნევის, ტემპერატურის პირობებში მოხდება. აღნიშნული იდეით უკვე დაინტერესდა თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სტუდენტებს მხარდაჭერა აღუთქვა თსუ-ს კანცლერმა ნუნუ ოვსიანიკოვამ, რომელმაც სტუდენტების გაკეთებული ოზონატორი პირადად დაათვალიერა და თსუ-ში მიმდინარე სამეცნიერო და სასწავლო სეგმენტის ერთობლივი კვლევების, ასევე, მეცნიერების კომერციალიზაციის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

თსუ-ს ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ოზონატორის გამოყენებას სოფლის მეურნეობის სფეროშიც აქტიურად გეგმავენ. ინსტიტუტის ხელმძღვანელი შოთა მირიანაშვილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები დაიწყო. შედეგად, მომავალ წელს ვენახების ოზონირებული წყლით დამუშავება დაიწყება, რაც, ერთის მხრივ, ეკონომიურია და, ამავე დროს, სოფლის მეურნეობაში შხამქიმიკატების ჩანაცვლების საშუალებასაც იძლევა.

გარდა მრავალპროფილიანი ოზონატორების შემუშავებისა, ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში კიდევ რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა. უკვე მზად არის დაბინძურებული, მლაშე წყლის გამამტკნარებელი ჰიდროაკუსტიკური (კავიტატიური) ორიგინალური კონსტრუქციის მოწყობილობა. მოწყობილობაში მოხმარებული ენერგიის თითქმის 3/4 მზის ენერგია იქნება. ამერიკის კონგრესის ფონდი დაინტერესებულია აღნიშნული იდეის განხორციელებითაც. ამ დროისთვის მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

მრავალპროფილიანი ოზონატორებისა და კავიტატორების ფართომასშტაბიანი წარმოების დაწყების შემთხვევაში მოგების ნაწილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიიღებს.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და შსს-ს აკადემიას შორის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელშეკრულებას თსუ-ს რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და შსს აკადემიის რექტორმა გივი მიქანაძემ მოაწერეს ხელი.

თსუ-ს რექტორის გიორგი შარვაშიძის ინფორმაციით, თსუ-სა და შსს აკადემიას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მრავალ ასპექტს გულისხმობს, მათ შორის, სტუდენტების სტაჟირებას. „ძალიან გვიხარია, რომ შედგა ეს თანამშრომლობა. ვვარაუდობთ, ბევრ საქმეში შევხვდებით ერთმანეთს, ეს იქნება ჩვენი სტუდენტების გაგზავნა შსს-ს აკადემიაში, კრიმინოლოჯისტიკური ლაბორატორიის გამოყენება, სტუდენტური ცხოვრების გააქტიურება და ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება ალპინიადის თუ ნებისმიერ სხვა ფორმატში თუ სხვა ბევრი საკითხი. ძალიან ფართო ველი არის თანამშრომლობის და გვიხარია, რომ შევძელით და დავაკონკრეტეთ – რა მიმართულებით განვითარდება ჩვენი მომავალი თანამშრომლობა“, – აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა მემორანდუმი და იმ ურთიერთობებს, რომელიც უკვე არსებობდა სასწავლებლებს შორის, სამართლებრივი სახე მივეცით. ეს მემორანდუმი გვაძლევს შესაძლებლობას, კიდევ უფრო მეტი აქტივობები დავგეგმოთ. აკადემია თავის მხრივ, მზად არის თავისი რესურსები, მატერიალური ბაზა დაუთმოს თსუ-ს სტუდენტებს, მისცეს შესაძლებლობა გაიარონ სტაჟირება და პრაქტიკული მეცადინეობები. ასევე, დაგეგმილია სამეცნიერო დონეზე ურთიერთთანამშრომლობა. შსს აკატდემია მოხარულია, რომ დღეს შეიძინა ისეთი ძლიერი პარტნიორი, როგორიც არის თსუ“, – განაცხადა შსს აკადემიის რექტორმა გივი მიქანაძემ.

მემორანდუმის თანახმად, მხარეები განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტებს, ერთმანეთს გაუზიარებენ ინტელექტუალურ და ტექნიკურ რესურსებს, მოაწყობენ ერთობლივ სამუშაო შეხვედრებს, სემინარებს, კონფერენციებს; ხელს შეუწყობენ სასწავლო პროგრამებსა და პროექტებში პროფესორების, ინსტრუქტორების, ტრენერებისა და ინსტრუქტორების ჩართვას, მხარეთა შორის თანამშრომლობას პრაქტიკული სასწავლო პროგრამის (კლინიკის) ფარგლებში.

მარიამ ლორთქიფანიძე: „უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე უნდა იკითხებოდეს საქართველოს ისტორიის კურსი“

1-ლი გვერდიდან

მაია ტორაძე

ქალბატონი მარიკა ეკუთვნის უნივერსიტეტს და უნივერსიტეტი — ქალბატონ მარიკას!

„ქალბატონი მარიკა ეკუთვნის უნივერსიტეტს და უნივერსიტეტი ეკუთვნის ქალბატონ მარიკას! – ერთგვარი სლოგანი შესთავაზა დარბაზს უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და აღნიშნა, რომ მარიამ ლორთქიფანიძე არის ყველაზე ახალგაზრდა პროფესორი უნივერსიტეტში თავისი სულით, შემართებითა და სიმხნევით: „უნდა გითხრათ, რომ ძალიან რთული იყო, რაღაც ჯილდო გადაგვეცა მისთვის, რადგან, მგონი, არ არსებობს საქართველოში ისეთი ჯილდო, რომელიც ქალბატონ მარიკას არ აქვს მიღებული. ძალიან გაგვიხარდა, როცა ერთი ასეთი ჯილდო მაინც აღმოვაჩინეთ – მას არ აქვს უნივერსიტეტის მედალი. დღეს აღვადგენთ ისტორიულ სამართლიანობას და გვინდა ქალბატონი მარიკა უნივერსიტეტის მედლით დავაჯილდოვოთ“, – ასე მიულოცა იუბილე მარიამ ლორთქიფანიძეს უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

ღვაწლმოსილი მეცნიერის წინაშე საიუბილეო ღონისძიებაზე გამოვიდნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ იუბილარს ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვა და აღნიშნა, რომ მარიამ ლორთქიფანიძე ნამდვილად არის იმ რანგის მოღვაწე, რომელიც უძვირფასესი შენაძენია მთელი საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო წრეებისთვის: „თსუ-ში სწავლისას არ მქონია ქალბატონ მარიკასთან და მის მიმართულებასთან შეხება, მაგრამ მახსოვს, რომ იგი ჩვენს ოჯახში მოიხსენიებოდა, როგორც სამეცნიერო და საუნივერსიტეტო ცხოვრების ერთ-ერთი დასაყრდენი და ღირსეული ლიდერი. თქვენი სახელი ჩემთვის უკავშირდება ოჯახიდან გამომდინარე ამ პირად ემოციას. მეორე საკითხი, რასაც მინდა ხაზი გავუსვა, არის ის, რომ ჩვენ გვინდა ვიყოთ ის ხალხი, ვინც აფასებს დამსახურებას და, მგონი, აქ გადის სწორედ ცივილიზებულობის, კულტურის, ევროპელობის, ქრისტიანობის საზღვარი. თუ ჩვენს ფესვებს მოვწყდებით, აღარ ვიქნებით ის, რაც გვინდა ვიყოთ. მგონია, რომ ქალბატონი მარიკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვისა და მთელი საქართველოს სამეცნიერო და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის არის სწორედ ის ადამიანი, რომელიც უნდა დავაფასოთ და რომელსაც უნდა დავეყრდნოთ ჩვენი მომავლის მშენებლობისას. გვახსოვს, რომ ცოტა ხნის წინ მეორე და მესამე ხარისხში იყო გადატანილი ჩვენს ქვეყანაში მიღებული განათლება და რატომღაც უცხოეთში მიღებული განათლება ჩაითვალა განვითარების დასაყრდენად. ცხადია, არავინ აკნინებს არცერთ უნივერსიტეტს და საგანმანათლებლო კერას მსოფლიოში, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ ჩვენი ალმა მატერი, ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტი ნამდვილად არის იმ რიგში, რომლითაც მთელ მსოფლიოს შეუძლია იამაყოს“, – აღნიშნა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

„გულწრფელად მეამაყება, რომ ვცხოვრობ მარიამ ლორთქიფანიძის საქართველოში და მქონდა ბედნიერება, რომ თქვენი მოღვაწეობისთვის მედეგნებინა თვალი“, – მიმართა იუბილარს საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა. მან გაიხსენა ის პერიოდი, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ პერიოდში ქართული საზოგადოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმგვარი მოღვაწეების მიმართვებს, როგორიც აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძეა: „ჩემთვის უაღრესად დიდი პატივია, შემოვუერთდე ამ არაჩვეულებრივ ღონისძიებას. დღეს მე სტუმრის სტატუსით გესწრებით, მაგრამ საქართველოს პარლამენტში ჩვენ აუცილებლად აღვნიშნავთ თქვენს საიუბილეო თარიღს და კოლეგებთან ერთად თქვენი მასპინძლობის და ღვაწლის დაფასების შესაძლებლობაც გვექნება. ალბათ, საქართველოში ვერ მოიძებნება სხვადასხვა ასაკის თუ პროფესიის ადამიანი, რომელიც არ იცნობს ქალბატონი მარიკას მოღვაწეობას და უაღრესად დიდ პატივს არ სცემდეს მას, როგორც გამორჩეულ ქალბატონს, ისტორიკოსს, მეცნიერს, აკადემიკოსს. ჩვენთვის ყველასთვის ცნობილია ჩამონათვალი სახელმწიფო ჯილდოებისა, რომელიც ქალბატონ მარიკას მიენიჭა მისი მოღვაწეობის დროს, თუმცა, გარდა ეროვნული ჯილდოებისა, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ გადაცემული ჯილდო – ათასწლეულის ღირსების მედალი, რომელიც ქალბატონ მარიკას 2000 წელს გადაეცა. ეს იყო გამორჩეული აღიარება ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებისა. თაობები იზრდებოდნენ „ქართლის ცხოვრების“ თუ რუსთაველის ეპოქის შესახებ შექმნილ სამეცნიერო პუბლიკაციებსა და ნარკვევებზე, მაგრამ დღეს მინდა, განსაკუთრებით გავამახვილო ყურადღება ქალბატონი მარიკას ღვაწლზე საქართველოს უახლეს ისტორიაში. მაშინ პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს 1989 წლის მოვლენები. მახსოვს თქვენი, როგორც გამორჩეული საზოგადო მოღვაწის, როლი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესებში“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა.

საიუბილეო სხდომის მონაწილეებს მადლობა გადაუხადა ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემ, რომელმაც გულწრფელ მადლიერებას ჩვეული პრინციპული მოთხოვნაც მოაყოლა: „სექტემბრიდან ვაპირებ, ჩვენს ახალგაზრდობასთან ერთად, ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რაც ერთხელ უკვე გავიარე და გავაკეთე – უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტზე უნდა იკითხებოდეს საქართველოს ისტორიის კურსი! თავის დროზე, როდესაც ილია ვეკუამ ეს გადაწყვეტილება დიდი საბჭოს წინაშე გამოაცხადა, 100 კაცზე მეტი ფეხზე ადგა და ტაშის გრიალით შეხვდა მას. ვფიქრობთ, მივაღწევთ ამას და ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი რამ. დიდი მადლობა ყველაფრისთვის“, – განაცხადა ქალბატონმა მარიამმა.

საიუბილეო კრებული



საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში გაიმართა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების მე-12 ტომის პრეზენტაცია. კრებული მიეძღვნა აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის 95-ე წლისთავს და სამი სეგმენტისგან შედგება: იუბილე, სამეცნიერო კვლევები და შრომები და საერთაშორისო პრეზენტაცია. კრებულის რედაქტორები არიან თსუ-ს პროფესორი თედო დუნდუა და ალექსანდრე ბოშიშვილი.

„ისტორიამ რა ჰქმნა?“

სხდომის მონაწილეებისთვის ასევე გაიმართა დოკუმენტური ფილმის – „ისტორიამ რა ჰქმნა?“ – პრემიერა, რომელიც ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა. ფილმის რეჟისორია გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორი ნინო კაკულია.

თხრობის აკადემიური სტილი, ფაქიზად შერჩეული კადრები და სწორად დასმული აქცენტები – ესაა ის, რასაც მაყურებელი ფილმში გამოარჩევს. ავტორი ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება მარიამ ლორთქიფანიძის ცხოვრებას და თითოეული ეტაპის სიფრთხილით გადასინჯვის შედეგად აღწევს იმ ემოციას, რომელიც გასული საუკუნეების რეპრესიების მძიმე წლებისა და საქართველოს ისტორიის ხელყოფის ფაქტების გახსენებამ უნდა მოიტანოს. ფილმს მეტ დამაჯერებლობას სძენს ზუსტად შერჩეული კომენტარები და დამატებითი ვიზუალური მასალა, რაც მის დოკუმენტურობას უსვამს ხაზს.

ფილმის ჩვენებას დადებითი გამოხმაურებები მოჰყვა როგორც დარბაზში მსხდომთა მხრიდან, ასევე სოციალურ ქსელში.

პროფესორმა ოთარ ბაქანიძემ მას კარგად გააზრებული ფილმი უწოდა და აღნიშნა, რომ ავტორის ჩანაფიქრი – წარმოეჩინა მარიამ ლორთქიფანიძის ცხოვრება და პიროვნული ღირსებები, შესრულებულია: „ფილმი კარგადაა გააზრებული, ჩაფიქრებული და განხორციელებული. საქმე ის არის, რომ მასში მარიკა წარმოჩნდა მთლიანად – როგორ მოდის ბავშვობიდან; როგორ ყალიბდება მასში ნამდვილი ადამიანი, თუ გნებავთ, მებრძოლი ქალი; რამ შეუწყო ხელი, როგორ მოერგო სიტუაციას და როგორი შეუპოვარი ადამიანი გაიზარდა. ისიც ზუსტადაა ნაჩვენები, რომ მარიკა დიდი მეცნიერი, მოღვაწე, სამშობლოსთვის და უნივერსიტეტისთვის თავდადებული ადამიანია. რეჟისორმა მიზანს მიაღწია“, – აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში.

„მინდა გულწრფელად მივულოცო ნინო კაკულიას, ფილმის რეჟისორს და ავტორს. ეს იყო არაჩვეულებრივი ქრონიკა ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, იმ წარმოუდგენლად დიდი ღვაწლისა, რომელთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი საზოგადოებისთვის არც კი არის ასე ფართოდ ცნობილი. რამდენიმე ეპიზოდი, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის პერიოდში ქართული ენის და საქართველოს ისტორიის სწავლების შევიწროვებისა, ასეთ დეტალებში ჩემთვის ცნობილი არ იყო. ალბათ სიტყვებით გადმოცემა ძალიან რთულია იმ დამსახურებისა, რაც ქალბატონ მარიკას მიუძღვის მთლიანად საქართველოს თვითმყოფადობის შენარჩუნებაში. დიდი მადლობა მინდა ქალბატონ ნინოს გადავუხადო. აგვისტოს მიწურულს ჩვენ საქართველოს პარლამენტში ვუმასპინძლებთ ქალბატონ მარიკას და დიდი სურვილი მაქვს, ეს ფილმი ჩვენმა კოლეგებმაც ნახონ“, – აღნიშნა მარიამ ჯაშმა.

* * *

მარიამ ლორთქიფანიძის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები უნივერსიტეტში დასრულდა სამეცნიერო კონფერენციით, რომელმაც ორი დღის განმავლობაში იმუშავა. მასზე წარმოდგენილი იყო მოხსენებები ისტორიის, ლიტერატურათმცოდნეობის, ეთნოლოგია/არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, კულტურის კვლევების, ფილოსოფია/თეოლოგიის სექციებში.

მთავარი მესიჯი კი, რაც უნივერსიტეტს დიდმა მეცნიერმა დაუტოვა, მისივე სურვილია: „უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე იკითხებოდეს საქართველოს ისტორიის კურსი!“.

რას ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მერიასა და საკრებულოსთან გაფორმებული მემორანდუმი?

მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 5 ივნისს თბილისის მერიასა და საკრებულოსთან თანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა. მემორანდუმებს ხელი თსუ-ს რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა მოაწერეს.

თამარ დოლბაია

მემორანდუმი გაფორმდა სასწავლო პროგრამის ფარგლებში. როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა თამარ დოლბაიამ განაცხადა, ფაკულტეტზე შეიქმნა ახალი სამაგისტრო პროგრამა – „განვითარების კვლევები და ადგილობრივი თვითმმართველობა“. „ფაკულტეტზე ამ პროგრამის შექმნა და დანერგვა არსებულმა გამოწვევებმა გვიკარნახა. დღეს მსოფლიოში მწვავედ დგას მდგრადი განვითარების სწორი გამოყენების, ეკოლოგიური, მიგრაციული და სხვა პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა ადგილობრივი დონიდან იწყება. ამიტომაც დავაწყვილეთ მდგრადი განვითარება და ადგილობრივი მმართველობის შესწავლა, რათა სტუდენტს ჰქონდეს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალება“, – აღნიშნა მან.

თსუ-ს რექტორის გიორგი შარვაშიძის განცხადებით, ხელმოწერილი მემორანდუმი განვითარებაზე ორიენტირებული სპეციალისტების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. სტუდენტები მაქსიმალურად უნდა ჩაერთონ იმ პროგრამის განხორციელებაში, რომელსაც დედაქალაქი გეგმავს. თავის მხრივ, უნივერსიტეტი დედაქალაქს პრობლემების გადასაწყვეტად მოახმარს სამეცნიერო და სტუდენტურ პოტენციალს. „მერიასა და საკრებულოში სტუდენტთა პრაქტიკისა და სტაჟირების გარდა, ჩვენ ვიწყებთ კიდევ ერთ ახალ პროექტს დედაქალაქთან ერთად, რომელიც ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებას და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას ეხება. ამ პროექტს გერმანელ პარტნიორებთან ერთად განვახორციელებთ“, – აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ.

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მისასალმებელი ფაქტი უწოდა მემორანდუმის გაფორმებას: „სტუდენტები, რომლებიც თეორიულ ცოდნას მიიღებენ უნივერსიტეტში, დედაქალაქის მერიაში შეძლებენ კვალიფიკაციის სხვადასხვა მიმართულებით ამაღლებას. ამ პროგრამის განხორციელებაში მერიის სხვადასხვა უწყებების აქტიური ჩართულობა აუცილებელია. უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და მერიის კვალიფიციურ კადრებთან სტაჟირება, საბოლოოდ კარგ შედეგამდე მიგვიყვანს“, – განაცხადა მან.

„მემორანდუმით გათვალისწინებული საკითხები მისასალმებელი და საჭიროა ქალაქის განვითარებისთვის. სტუდენტები იმუშავებენ თბილისის საკრებულოს სხვადასხვა კომისიაში, სამსახურებში, რაც ნიშნავს ქალაქის მართვაში ჩვენი მომავალი თაობის მეტ ჩართულობას. ეს პროექტი ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს გაიარონ სტაჟირება და განავითარონ საჭირო უნარ-ჩვევები“, – აღნიშნა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა.

ახალი სამაგისტრო პროგრამა — „განვითარების კვლევები და ადგილობრივი თვითმმართველობა“ წელსვე ამოქმედდება

ახალი სამაგისტრო პროგრამა „განვითარების კვლევები და ადგილობრივი თვითმმართველობა“ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტში წელსვე ამოქმედდება.

სამაგისტრო პროგრამა მაგისტრებს მოამზადებს საჯარო და არასამთავრობო სექტორებში დასაქმებისთვის.

„მდგრადი განვითარება დღეისათვის მსოფლიოში აქტუალური თემაა. თუ აქამდე განვითარებად ითვლებოდა ეკონომიკური ციფრების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა, რაც აბსოლუტურად არ აისახებოდა მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხზე, ახლა განვითარებას უყურებენ, როგორც ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ტრანსფორმაციებს. სად შეიძლება ამ განვითარების შესახებ საუბარი და სად უნდა გადაწყდეს ეს პრობლემები? რა თქმა უნდა, მხოლოდ ადგილობრივ დონეზე, ჩვენს სინამდვილეში კი ადგილობრივ თვითმმართველობებში. მდგრადი განვითარების ამოსავალი პრინციპი არის ეკოლოგიის გაუმჯობესება, გარემოს დაცვითი სამუშაოების განხორციელება, მოსახლეობის ეკონომიკური დონის ამაღლება, წარმოების და მოხმარების ადმინისტრირების გაუმჯობესება და მისი სამართლიანად გადანაწილება მოსახლეობაში“, – განაცხადა ჩვენთან საუბარში პროგრამის ხელმძღვანელმა თამარ დოლბაიამ და აღნიშნა, რომ მომავალში შესაძლებელია სხვა რეგიონების თვითმმართველობებთანაც დამყარდეს კავშირები და სტუდენტებმა პრაქტიკები იქაც გაიარონ, მაგრამ ამ ეტაპზე სრულყოფილი პრაქტიკის გავლა მხოლოდ თბილისში არის შესაძლებელი. ამიტომაც გაფორმდა მემორანდუმი ქალაქის მერიასა და საკრებულოსთან.

პროგრამაში კომბინირებულია თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებს – გამოიმუშავონ ორგანიზაციების, ერთობებისა და მათთან დაკავშირებული პოლიტიკის დაგეგმვის, შესწავლისა და ცვლილებების უნარები, რომლებიც საზოგადოების განვითარებას ემსახურება.

სამაგისტრო პროგრამის ამოცანაა: ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს სტუდენტს ადგილობრივი თვითმმართველობის სფერო, განვითარების თეორიები და კვლევის მეთოდები, მომიჯნავე დისციპლინები, მისცეს სტუდენტს კომპლექსური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში; განუვითაროს ანალიტიკური აზროვნება, გლობალური და ლოკალური პროცესების შეფასებისა და ანალიზის უნარი; თეორიული განათლების პარალელურად, გამოუმუშავოს ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობისა და განვითარების კვლევების კვალიფიკაციის მქონე მაგისტრისათვის; მოამზადოს სტუდენტი დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის სხვადასხვა მიმართულებით. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მომზადებული სპეციალისტების ზოგადი და დარგობრივი ცოდნა, პრაქტიკული უნარები და კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს არაერთ საინტერესო საგანს, მათ შორის ისეთებს, როგორიცაა: „მდგრადი განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები“, „საზოგადოების განვითარება და ბუნებრივი გარემო“, „განვითარება და სოციალური პოლიტიკა“, „მიწის პოლიტიკა და მიწის ადმინისტრირება“, „განვითარების პოლიტიკური თეორიები“, „ეკონომიკური თეორია და პოლიტიკა“, „სამართალი და სახელმწიფო ხელისუფლება“, „ადმინისტრაციული წარმოების თავისებურებები,“ „კვლევის მეთოდები“, „პროექტის მართვა“, „ადგილობრივი მმართველობა“, „აგრარული ეკონომიკა“ „ტურიზმი და რეგიონული განვითარება“ და სხვ.

პროგრამის მაგისტრანტები ასევე ჩაერთვებიან პროექტში – „სამხრეთ კავკასიის რეგიონის ტურიზმის მდგრადი განვითარება“, რომელიც ავსტრიის ხელისუფლებასთან ერთად ხორციელდება.

მემორანდუმის თანახმად, თბილისის მერია და საკრებულო მჭიდროდ ითანამშრომლებს უნივერსიტეტთან სტუდენტური სასწავლო პრაქტიკის და სტაჟირების საკითხებზე. თავის მხრივ, უნივერსიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მერიას და საკრებულოს საჭირო მეთოდოლოგიური მასალებით, წვრთნის მოდულებით და ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული სხვა ინტელექტუალური რესურსებით; მხარეები განახორციელებენ ერთობლივ პროექტებს.

ქართული დელეგაცია ერევნის უნივერსიტეტში

24 მაისს სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივითა და ორგანიზებით ერევანს ეწვია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაცია უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ გიორგი შარვაშიძის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ უნივერსიტეტის კანცლერი, ქალბატონი ნუნუ ოვსიანიკოვა და უნივერსიტეტის ფოლკლორული ანსამბლი „უნივერსიტეტი“.

იმავე დღეს ერევნის უნივერსიტეტში შედგა ქართული დელეგაციის შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორატის წევრებთან. შეხვედრაზე ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე, დასახეს ერთობლივი პროგრამები, რომელიც ითვალისწინებს ორ უნივერსიტეტს შორის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლას, ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციებისა და სპორტული შეჯიბრებების მოწყობას.

25 მაისს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის დილის გადაცემაში სტუმრად მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, რომელმაც ისაუბრა ქართულ-სომხურ საგანმანათლებლო და კულტურულ ურთიერთობებზე ორ უნივერსიტეტს შორის, მათი განვითარების აუცილებლობასა და პერსპექტივებზე. მან ხაზი გაუსვა ორ უნივერსიტეტს შორის ტრადიციულ მეგობრობას და ქართული უნივერსიტეტის ინტერესს არმენოლოგიური დისციპლინების მიმართ.

იმავე დღეს ერევნის უნივერსიტეტის რექტორს და ქართულ დელეგაციას უმასპინძლეს საქართველოს საელჩოში.

25 მაისს, საღამოს, ერევნის ჰაკობპარონიანის სახელობის თეატრში გაიმართა ერთობლივი კონცერტი ერევნისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტთა მონაწილეობით, რომელიც მიეძღვნა საქართველოსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავს. საღამოს ესწრებოდნენ სომხეთში აკრედიტებული საელჩოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სომხეთის ხელისუფლების, კულტურისა და ფართო საზოგადოების წარმომადგენლები. ერთობლივ კონცერტზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ერევნის უნივერსიტეტის რექტორი არამ სიმონიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე და საქართველოს ელჩი გიორგი საგანელიძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორულმა ანსამბლმა „უნივერსიტეტმა“ სომეხ საზოგადოებას წარუდგინა უნიკალური ქართული ფოლკლორული ნიმუშები და დაიმსახურა მაყურებელთა უმაღლესი შეფასება.

26 მაისს საქართველოს საელჩომ სასტუმრო „მარიოტში“ გამართა საზეიმო მიღება საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით. ღონისძიებას დაესწრნენ სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების ახლად არჩეული თავმჯდომარე არა ბაბლოიანი, სომხეთში აკრედიტებული საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სომხეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის, ეროვნული კრების, სომხური სამოციქულო ეკლესიის, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიის, ანალიტიკური ცენტრების, მეცნიერებისა და კულტურის, ასევე ქართული სათვისტომო „ივერიისა“ და საერთაშორისო კლუბ „თბილისელების“ წარმომადგენლები.

ოფიციალურ მიღებაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული ანსამბლის წევრებმა შეასრულეს ქართული ცეკვები და სიმღერები, რომელთაც დამსწრეთა ოვაციები მოჰყვა. სტუმრები ცდილობდნენ სამახსოვრო სურათები გადაეღოთ ქართველ სტუდენტებთან. მიღებაზე წარმოდგენილი იყო, ასევე, მინანქარში შესრულებული საიუვილერო ნამუშევრების გამოფენა.

შეხვედრაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი გიორგი საგანელიძე, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ამ დღის მნიშვნელობა ქართველი ერის ისტორიაში, ისაუბრა ქართული სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებზე და ქართულ-სომხური ურთიერთობების პერსპექტივებზე. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა, ასევე, სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარე არა ბაბლოიანი, რომელმაც ქართველ ხალხს მიულოცა ეს მნიშვნელოვანი დღე და ხაზი გაუსვა ქართულ-სომხური თანამშრომლობის გაღრმავებისა და განვითარების აუცილებლობას.

ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲓᲔᲡ ᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘ

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲮᲘᲜᲗᲘᲑᲘᲫᲔ ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲘᲐ

ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

მეცნიერება ამოუცნობი ობიექტივითაა – მისი ან გეშინია, ან მონუსხულივით აკვირდები და თუ არ გაიქეცი, გაბედულებისა და პრინციპულობის სანაცვლოდ, შენს წინაშე აუცილებლად გაიხსნება კარი, რომელსაც უცხო სამყაროს ლაბირინთებში შეჰყავხარ.
სწორედ ეს გაბედულება და პრინციპულობაა ის ამოსავალი წერტილი, რომელიც მეცნიერს ახლის შეცნობის უნარს აძლევს. ამ გაბედულებასა და პრინციპულობაზე საუბრობდნენ კოლეგები აკადემიკოს ელგუჯა ხინთიბიძის საიუბილეო საღამოზე, როცა მისი ბოლოდროინდელი მეცნიერული კვლევების შედეგებზე, განსაკუთრებით კი „ვეფხისტყაოსანში“ განხორციელებულ შუა საუკუნეობრივისა და რენესანსულის ჰარმონიის მიგნებაზე მიათითებდნენ. მეცნიერისთვის რამდენიმე ათეული წლის სიმძიმე (თუნდაც 80 წელი) არაფერია, რადგან ამ წლებს მხოლოდ გამოცდილება, ლაბირინთში მოძრაობის სიმსუბუქე და საბოლოო მიზნამდე მისასვლელი გზების ცოდნა მოაქვს. მეცნიერული გაბედულობა და პრინციპულობა კი ის თვისებებია, რომელიც ერთეულებს ხვდებათ წილად და ნიჭთან, მიზანდასახულობასთან, შრომისმოყვარეობასთან და დროის სწორ გადანაწილებასთან ერთად, უცილობლად განაპიროებებს წარმატებას. აკადემიკოსი ელგუჯა ხინთიბიძე ის მეცნიერია, რომლისთვისაც განგებას ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება უბოძებია. ალბათ, ამიტომაც, იგი დღეს სამართლიანად მიიჩნევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საამაყო სახედ.

საიუბილეო საღამო არ იყო ტრადიციული. მასზე ელგუჯა ხინთიბიძის კოლეგები, ყოფილი და ახლანდელი სტუდენტები – ქართველები და უცხოელები, სვამდნენ კითხვებს და ისმენდნენ იუბილარის პასუხებს, თუ როგორ იძერწება წარმატებული ადამიანი, როგორ შეიძლება დაძლიო წინააღმდეგობა, რომელიც მეცნიერების რთულ გზაზე გხვდება, როგორი უნდა იყო, რომ ამდენი ადამიანის სიყვარული დაიმსახურო.

პირველი კითხვა, რა თქმა უნდა, მეცნიერის ბავშვობას ეხებოდა. პასუხი ისეთი იყო, როგორიც მხოლოდ ბატონ ელგუჯას ახასიათებს – არ მახსოვს ბავშვობა, ის დამავიწყა რუსთაველმა, შექსპირმა და იმ პრობლემებმა, რომელზეც ამ წლების განმავლობაში ვმუშაობდი, ამაზე ჩემი უფროსი და უკეთ გეტყვით, თუმცა ერთი, რაც კარგად მახსოვს, მგონი, ასე ვფიქრობდი: რა კარგია, რომ ოზურგეთში დავიბადე და აქ ვსწავლობ.

არცთუ ტყუილად უფიქრია ასე. ინტერვიუში, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩვენს გაზეთს მისცა, ბატონი ელგუჯა გვიყვებოდა: „გურიაში დავიბადე და გავიზარდე. ვსწავლობდი ოზურგეთის სკოლაში, სადაც თავის დროზე ნიკო მარს და ექვთიმე თაყაიშვილს უსწავლია... ნიჭიერი და საინტერესო ამხანაგები მყავდნენ... მარტო ჩემი კლასიდან ოთხმა დავამთავრეთ სკოლა ოქროს მედლით და ეს მაშინ ადვილი საქმე არ იყო. გატაცებულნი გახლდით პოეზიით... მე შევაყვარე მთელ კლასს გალაკტიონი... სხვა მხრივაც ვაქტიურობდით და სხვადასხვა საგნებში რესპუბლიკურ ოლიმპიადებზეც ვმონაწილეობდით. მაგალითად, ერთ-ერთ ოლიმპიადაზე გავიმარჯვე და მაშინდელი ნაჩუქარი წიგნები ახლაც შენახული მაქვს... ვუსმენდით ჯაზს, კლასიკურ მუსიკას... მოკლედ, საინტერესო ცხოვრება გვქონდა. ჩემი კლასელები იყვნენ: ქართველი მხატვარი მამია მალაზონია, დღეისათვის ცნობილი პიროვნებები: ჯუმბერ ჩოლობარგია და ალექსანდრე ფირცხალაიშვილი. სხვათა შორის, სტუდენტობასა და ცხოვრების გზაზე შეძენილ მეგობრებთან ერთად, ჩემი საუკეთესო მეგობრები დღესაც თანაკლასელები არიან“...

იუბილარმა ბავშვობის მოგონებებში გაურია ისიც, თუ როგორ ააწყო მოსკოვიდან გამოწერილი ნაწილებით რადიო, როგორ გაანაწყენა მათემატიკის მასწავლებელი იმის გამო, რომ ქართული აირჩია, როგორ დატოვეს ერთხელ სახლში მშობლებმა მარტო, როგორ შეკრიბა მთელი სამეგობრო და როგორ გაათენეს გალაკტიონის კითხვაში.

მეფე-პოეტს მის ცხოვრებაში, ალბათ, საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა – გარდა იმისა, რომ დღემდე ზეპირად იცის მისი შემოქმედება, პროფესიის არჩევაშიც გალაკტიონს უთამაშია დიდი როლი, თუმცა, თუ ხინთიბიძეების ოჯახს გადავხედავთ, არც უტრადიციობა უნდა ყოფილიყო: ბიძა – ანტონ ხინთიბიძე – მეცნიერი, ფოლკლორისტი გახლდათ, ხოლო ძმა – აკაკი ხინთიბიძე – ასევე ცნობილი მეცნიერი და უმცროსი ძმისთვის მისაბაძი მაგალითი.

ფაქტია, რომ ოჯახის ინტერესებმა და ფილოლოგიისაკენ სწრაფვამ გადაწონა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა. აი, აქ დაიწყო მისი ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი, რომელშიც, ცოდნის მიღებასთან ერთად, სამეცნიერო გზაც გაიკვალა და მეგობრებიც შეიძინა. თუ შეიძლება, რომ კეთილი შურით შეგშურდეთ ადამიანის, ამ სამეგობროზე ერთი თვალის გადავლებაც კმარა: პროფესორი ალექსანდრე ალექსიძე (რომელიც, სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა), ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: დავით წერედიანი, ბაჩანა ბრეგვაძე, ჯემალ ქარჩხაძე... ახლა დარდობს, ცოტანილა შემოვრჩით წუთისოფელსო, მაგრამ ის კვალი, რაც მეგობრებს დაუტოვებიათ, მას ახლაც აჩნია.

როგორც თავად ამბობს, მეცნიერებით მისი დაინტერესება კორნელი კეკელიძემ განაპირობა: თავიდანვე ჩავები სამეცნიერო წრეებში და კორნელი კეკელიძის მიერ ჩემი პირველი შრომის შეფასებამ გადამაწყვეტინა სერიოზული მუშაობაო. როგორც ჩანს, ბატონმა კორნელიმ მოწაფის მეცნიერულ სიჯიუტესა და არგუმენტირების უნარში იმთავითვე ამოიცნო მომავალი მეცნიერი და გზაც დაულოცა.

პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის მეცნიერული ინტერესების სფეროა რუსთველოლოგია, ქართულ-ბიზანტიური და ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები. იგი ხელმძღვანელობს თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს და მის მიერვე დაარსებულ ქართველოლოგიური სკოლის ცენტრს. არის უამრავი ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორი. მათ შორის გამორჩეულია საქართველოსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გამოცემული ნაშრომები: „ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები“ (თბილისი, 1968); „მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“ (თბილისი, 1975 წ.); „ვარლაამ და იოასაფის“ ქართულ და ბერძნულ რედაქციათა მიმართებისათვის“ (პარიზი, 1976 წ. – ინგლისურ ენაზე); „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობანი“ (თბილისი, ამსტერდამი – 1982, 1991, 1996 წწ. – ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე); „შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“ (თბილისი, 1993 წ.); „ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში“ (ამსტერდამი 2001 წ., თბილისი 2003 წ. – ინგლისურ და ქართულ ენებზე); „XI საუკუნის ორი უცნობი ქართული ხელნაწერის ფრაგმენტები ბერძნულ კოდექსში“ (რომი, 1998 წ. – ინგლისურად) „ვეფხისტყაოსანი“ შექსპირის ეპოქის ინგლისში“ (თბილისი, 2008 წ. – ქართულ და ინგლისურ ენებზე); „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო“ (თბილისი, 2009 წ.) და სხვ.

ელგუჯა ხინთიბიძის თითოეული სამეცნიერო ნაშრომი თუ მონოგრაფია შექმნილია რუტინული შრომის შედეგად, რომელსაც მისი კოლეგები დღეს უდიდეს შეფასებას აძლევენ. იუბილეზე პროფესორმა ლაურა გრიგოლაშვილმა მისი წარმატებები ნიჭს, შრომისმოყვარეობას და ორგანიზებულობას დაუკავშირა: „ელგუჯა დროს ყოველთვის პატივს სცემდა და ანგარიშს უწევდა, რითაც მაგალითს აძლევდა თავის სტუდენტობას“, – თქვა მან და კოლეგის სამეცნიერო დამსახურებების ჩამოთვლისას რამდენიმე პასაჟი გამოკვეთა: „ელგუჯა ხინთიბიძე ფართო მასშტაბის მეცნიერია. თითოეული მისი ნაშრომი საგანგებო ჩაღრმავებას და კვალიფიკაციას საჭიროებს და ეს მომავლის საქმეა. განსაკუთრებით მინდა დავუმადლო ძიებანი „ვეფხისტყაოსნის პრობლემატიკაში“, მან ამ მიმართულებით სერიოზული და ანგარიშგასაწევი ნაბიჯები გადადგა და დასრულებული კონცეფცია შემოგვთავაზა. მან მოახერხა და თავისი ადგილი მიაკუთვნა შოთა რუსთაველს მსოფლიო კულტურის ისტორიაში. სწორედ ელგუჯა ხინთიბიძემ დაამტკიცა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ განხორციელებულია შუა საუკუნეობრივისა და რენესანსრულის ჰარმონია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ წამყვანი არის შუა საუკუნეობრივი პრობლემატიკა, მაგრამ მისი გადაწყვეტა რენესანსულია. ვფიქრობ, რომ მისი ამ კონცეფციის ექო ევროპულ სამეცნიერო წრეებშიც გაისმის და მომავალში კიდევ მეტად დამკვიდრდება. „გავა დრო და დადგება ხანგრძლივი პროცესი ადამიანთა სწრაფვისა რწმენის, იმედისა და სიყვარულის ღვთაებრივი ორიენტირების დასაბრუნებლად, რასაც თავიდან მოჰყვება სურვილი ღვთაებრივი სიყვარულის ამქვეყნიურ ურთიერთობებში მოპოვებისა“, – ბატონი ელგუჯას ეს სიტყვები სახელმძღვანელოდ უნდა იქცეს მეცნიერთათვის და თანამედროვე საზოგადოებისათვის“, – ასე დაახასიათა ქალბატონმა ლაურამ მისი კოლეგა და მეგობარი.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ნანა გაფრინდაშვილმა იუბილარის სამეცნიერო ცხოვრება მიმოიხილა და საზოგადოებას შეახსენა, რომ ყველა პოსტზე, სადაც კი ბატონ ელგუჯა ხინთიბიძეს უმოღვაწია, იყო პრინციპული და ქართული საქმის კეთების სურვილით გამორჩეული პიროვნება: „ბევრ თქვენგანს ბატონი ელგუჯა ხინთიბიძე მრავალ ამპლუაში უნახავს: ჩვენ გვახსოვს დეკანი ელგუჯა ხინთიბიძე, პრორექტორი ელგუჯა ხინთიბიძე, კათედრის გამგე ელგუჯა ხინთიბიძე... ყველა პოსტზე ყოველთვის ძალიან წარმატებული იყო, განსაკუთრებით კი პედაგოგიურ და სამეცნიერო სარბიელზე. მას იცობს და აფასებს არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაც. ფილოლოგია არ არის ის სფერო, რომელიც გვანებივრებს თავისი აღმოჩენებით და რომელშიც ყოველდღე ხდება რაღაც ეპოქალური სიახლეები. ბატონმა ელგუჯამ თავისი მოღვაწეობით ბიძგი მისცა ქართული ფილოლოგიის შემდგომ განვითარებას“, – აღნიშნა ნანა გაფრინდაშვილმა.

საიუბილეო სხდომაზე აკადემიკოს ელგუჯა ხინთიბიძეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახელით იუბილე მიულოცა სასულიერო აკადემიის რექტორმა მამა გიორგი ზვიადაძემ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ, პროფესორმა ინესა მერაბიშვილმა, ყოფილმა სტუდენტებმა, დღეს უკვე კოლეგებმა: ვალერი ასათიანმა და მაკა ელბაქიძემ, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ნელი მახარაძემ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, რომელმაც იუბილარს უნივერსიტეტის მედალი გადასცა. „ბატონი ელგუჯა დღემდე აკეთებს იმას, რასაც მთელი ცხოვრება ემსახურებოდა – ესაა მეცნიერების და ქართველოლოგიის პოპულარიზაცია, რომ მსოფლიოში ყველამ გაიგოს, ვინაა რუსთაველი და რა არის ქართველოლოგია. მოწმე ვარ, როგორ დადიოდა ბატონი ელგუჯა საქართველოსთვის მძიმე წლებშიც კი სხვადასხვა ინსტანციაში და როგორ უმტკიცებდა ყველას იმას, რომ ქართველოლოგიის სკოლის დაფინანსება აუცილებელი და საშური საქმე იყო. ამას მტკიცება არ სჭირდებოდა – ამ სკოლის მეშვეობით ჩვენ ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინეთ და ამ სკოლის გამოისობით ინტერესი ქართველოლოგიისა და ჩვენი ქვეყნისადმი დიპლომატიური ურთიერთობის ფაქტორად იქცა“, – აღნიშნა თავის გამოსვლაში გიორგი შარვაშიძემ.

საიუბილეო სხდომის დასასრულ, აკადემიკოსმა ელგუჯა ხინთიბიძემ საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობის ერთგვარი კრედოც გაამხილა: „უნდა გიყვარდეთ, ძალიან გიყვარდეთ ის საქმე, რასაც ასწავლით“.

***

„გავა დრო და დადგება ხანგრძლივი პროცესი ადამიანთა სწრაფვისა რწმენის, იმედისა და სიყვარულის ღვთაებრივი ორიენტირების დასაბრუნებლად,
რასაც თავიდან მოჰყვება სურვილი ღვთაებრივი სიყვარულის ამქვეყნიურ ურთიერთობებში მოპოვებისა“.

ელგუჯა ხინთიბიძე

* * *

„მოგესალმებით ორი თვით უმცროს კოლეგას და შორიდან შევუერთდები თბილისელი და უცხოელი მომლოცველების რიგს. გისურვებთ სიმხნევეს და დაუშრეტელ ენერგიას თქვენს მრავალფეროვან მოღვაწეობაში. თქვენს იუბილეზე სხვები ალბათ კომპეტენტურად შეაფასებენ თქვენს ღვაწლს რუსთველოლოგიურ დისკუსიებში, რუსთაველის იდეური პარალელების, მოტივებისა და ცენტრალური კონცეფციების გამოკვლევებში, ე.წ. ქართული რენესანსის ადგილისა და ევროპულ აზროვნებასთან ურთიერთობის განსაზღვრაში. მე პირადად კი ხაზი მინდა გავუსვა თქვენს ხანგრძლივ პრაქტიკულ საქმიანობას, რითაც ქართველოლოგიური ცხოვრებას ხელი შეუწყვეთ. დიდი მადლობა თქვენი მრავალფეროვანი სამსახურისთვის, ბევრი კონფერენციისა და ქართველოლოგიის სკოლის მოწყობისთვის და იმედი მაქვს, ტრადიციებს შეუცვლელად გააგრძელებთ, ან მომავალ თაობას გააგრძელებინებთ“.

ვილფრიდ ბოედერი,
ოლდერბურგის უნივერსიტეტი

* * *

„ვეფხისტყაოსნის“ უცხო ენებზე შესრულებული თარგმანები ხიდებს დებენ საქართველოსა და მსოფლიოს ურიცხვ ქვეყანას შორის. ამის წყალობით ელგუჯა ხინთიბიძის ერთ-ერთი სანიმუშო ღვაწლია საქართველოსა და ევროპას შორის გადებული ხიდი, რომელზეც ერთმანეთს ეგებებიან, დროისა და მანძილის მიუხედავად, შოთა რუსთაველი და უილიამ შექსპირი. ეს გახლავთ კულტურულ ურთიერთობათა, ხალხთა მეგობრობასა და მშვიდობას შორის გადებული „სარაინდო ხიდი“... სასიხარულო იუბილეს გისურვებთ, ძვირფასო ბატონო ელგუჯა და თქვენი კვლევა-ძიების კეთილ გაგრძელებას ამ შესანიშნავი და აქტუალური მიმართულებით არჩეულ გზაზე“.

გასტონ ბუაჩიძე,
საფრანგეთი, თბილისელი ნანტელი

გლობალური ეკონომიკა და სავალუტო ფონდის როლი მსოფლიოში

თამარ დადიანი

„გლობალური ეკონომიკა და სავალუტო ფონდის როლი მსოფლიოში“ – ამ თემის შესახებ იმსჯელეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადისკუსიო პანელზე, რომელიც 12 ივნისს გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის მოადგილე ტაო ჟენგი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე, საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე. დისკუსიაში აქტიურად ჩაერთნენ სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ISET-ის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, ღონისძიებას ესწრებოდნენ ასევე ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროს და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

„საერთაშორისო სავალუტო ფონდთან აქტიური თანამშრომლობა და მისი მხარდაჭერილი პროგრამების განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს არის ჩვენი ეკონომიკური რეფორმების განვითარების გარანტი“, – განაცხადა თსუ-ს რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, რომელმაც მსმენელს სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის მოადგილე ტაო ჟენგის მოღვაწეობა გააცნო და იმ მნიშვნელოვან თანამშრომლობაზეც ისაუბრა, რომელმაც საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების წარმატება განაპირობა.

„საქართველოში სტუმრობა დიდი პატივია. მნიშვნელოვანია თავად ის ფაქტიც, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიმყოფები და ვიხილავთ თანამედროვე ქართული ეკონომიკის მშენებლობის გზაზე არსებულ გამოწვევებს.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე თქვენმა ქვეყანამ დიდ ეკონომიკურ წინსვლას მიაღწია და ბოლოდროინდელმა რეფორმებმა უწყვეტ განვითარებას დაუდო საფუძველი. გვინდა, რომ საქართველომ მდგრადი ეკონომიკური ზრდა იქონიოს და მთელი ქვეყნის მოსახლეობას მოუტანოს სარგებელი.

პირველ რიგში, დადებითად ვაფასებ საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. საქართველოს ხელისუფლება პასუხისმგებლობით ეკიდება 4-პუნქტიანი რეფორმის გეგმის განხორციელებას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა საკითხებს. ჩვენ ჟურადღებას ვამახვილებთ სტრუქტურულ რეფორმებზე, სტაბილურობის შენარჩუნებაზე. ასევე მნიშვნელოვანია, ქვეყანაში იყოს ისეთი გარემო, რომელიც განავითარებს სხვადასხვა შესაძლებლობებს უცხოური ინვესტიციებისთვის. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებასთან ეფექტური თანამშრომლობის გზით წარმატებით განვახორციელებთ დაგეგმილ პროგრამებს“, – განაცხადა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის მოადგილემ ტაო ჟენგმა, რომელმაც თავისი გამოსვლა გლობალური ეკონომიკის მოკლე აღწერით დაიწყო და როგორც გლობალური, ისე რეგიონალური ეკონომიკური ზრდის საინტერესო პროგნოზები წარმოადგინა.

„საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკური ზრდა, მიმდინარე წელს, 3.5% იქნება, არადა გასული ორი წლის განმავლობაში საშუალო ზრდის მაჩვენებელი 2.8% იყო. ამას, მეტწილად, ინვესტიციები და კერძო მოხმარება განაპირობებს.

ჩვენი მოლოდინით, საშუალო ვადიან პერიოდში, ბოლოდროინდელი კლების შემდეგ, საქართველო დაუბრუნდება 5.5% ეკონომიკური ზრდის ნიშნულს. თუმცა, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გააგრძელებთ კერძო ინვესტიციების, პროდუქტიულობის ზრდის და ექსპორტის მომატებული კონკურენტუნარიანობის ხელშემწყობ ბოლოდროინდელ პოლიტიკას. მსოფლიო ბანკის დასკვნით, ბიზნესის კეთების გარემოც უმჯობესდება“, – განაცხადა ტაო ჟენგმა, რომელმაც საქართველოს იმ ძირითად გამოწვევებზე ისაუბრა, როგორიცაა საექსპორტო ბაზა, შრომის ბაზარი, სადაც უმუშევრობა და დაუსაქმებლობა მაღალ ნიშნულებს აღწევს. „განუხრელი ძალისხმევაა საჭირო ისეთი განათლების სისტემის შესაქმნელად, რომელიც ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებს. დაწყებით და საშუალო სკოლებში სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაა საჭირო, მათ შორის პროფესიული განათლების შემოღებით“, – განაცხადა ტაო ჟენგმა, რომელმაც მოუწოდა ახალგაზრდებს – მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ სწავლა-განათლებას.

დისკუსიისას ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გლობალურ ეკონომიკას და მის გავლენას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებზე, მათ შორის საქართველოზე. გამომსვლელებმა ისაუბრეს მთავრობის 4-პუნქტიან გეგმაზე, საქართველოს პასუხზე საგარეო შოკსა და ქვეყნის მთავარ გამოწვევებზე – მიმდინარე ანგარიშის დეფიციტსა და დოლარიზაციაზე.

„დღევანდელი შეხვედრის მთავარი მიზანია სტუდენტ-ახალგაზრდობასთან ერთად მიმოვიხილოთ გლობალური ეკონომიკის გავლენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებზე, მათ შორის საქართველოზე. მოგეხსენებათ, რომ მცირე ზომის ღია ეკონომიკები, რომელთა რიცხვს საქართველოც განეკუთვნება, მუდმივად განიცდიან საგარეო შოკებს – ხან უარყოფითს, ხან დადებითს. 2014-2016 წლებში რამდენიმე უარყოფითი საგარეო შოკი დაფიქსირდა, რომლებიც ნეგატიურად ზემოქმედებდნენ არა მხოლოდ საქართველოს ეკონომიკაზე, არამედ ჩვენს სავაჭრო პარტნიორებსა და, ზოგადად, მთელი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკებზე. აღსანიშნავია, რომ განსხვავებული იყო ქვეყნების ცენტრალური ბანკების პოლიტიკის რეაგირება ხსენებულ შოკებზე. განსხვავება განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო მონეტარულ და სავალუტო პოლიტიკებს შორის. კერძოდ, მაშინ, როდესაც ზოგმა ქვეყანამ გაცვლითი კურსის მართვის მიზნით, აქტიური სავალუტო ინტერვენციები განახორციელა, ზოგიერთ ქვეყანაში კურსის გაუფასურების საპასუხოდ მონეტარული პოლიტიკა მკვეთრად გამკაცრდა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა კონცენტრირებული იყო ინფლაციის მოლოდინებზე, ხოლო ინტერვენციები კი – იშვიათი ჭარბი მერყეობის შერბილებაზე. საგარეო შოკებზე სწორი რეაგირების გარდა მნიშვნელოვანია, ასევე, ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურის გაუმჯობესებაზე ზრუნვაც. კერძოდ, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და მაღალი დოლარიზაცია წარმოადგენს საქართველოს მაკროეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევებს. დღეს სსფ-ს მმართველი დირექტორის მოადგილესთან ერთად ამ საკითხებზეც გავამახვილეთ ყურადღება“, – განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ.

ჩვენი განვითარების გეგმა და ის მხარდაჭერა, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან გვაქვს, ერთმანეთს ემთხვევა – ამის შესახებ პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა, რომელმაც საინტერესოდ ისაუბრა იმ მნიშვნელოვან მხარდაჭერაზე, რომელსაც სავალუტო ფონდი საქართველოს მიმართ ახორციელებს: „ზოგადად, ძალიან საინტერესოა სხვადასხვა კუთხიდან დანახული საქართველოს ეკონომიკის განვითარება, ამ შემთხვევაში ჩვენ გვყავდა მმართველი დირექტორის მოადგილე ტაო ჟენგი, რომელმაც მოგვახსენა მისი ხედვა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე. მინდა ამ შემთხვევაში გითხრათ, რომ ჩვენი განვითარების გეგმა, რომელიც გაგვაჩნია და ის მხარდაჭერა, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან გვაქვს, ერთმანეთს ემთხვევა. ჩვენ ძალიან საინტერესო კითხვები გვქონდა ასევე სტუდენტებისგან, თუ რა იქნება ძირითადი მამოძრავებელი ძალა და მიმართულებები, რომელიც გაზრდის ჩვენს ეკონომიკას შემდეგ წლებში. რა თქმა უნდა, ეს იქნება პროდუქტიულობის ზრდა, ახალი ინვესტიციები და საექსპორტო პოტენციალი, ასევე, ექსპორტის ზრდა, რომელმაც საბოლოო ჯამში პოზიტიურად უნდა იმოქმედოს ჩვენი ეკონომიკის განვითარებაზე შემდეგ წლებში“, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

შეხვედრის ბოლოს თსუ-ს რექტორმა დიდი მადლობა გადაუხადა სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის მოადგილეს ტაო ჟენგს და ეკონომიკური გუნდის წევრებს საინტერესო შეხვედრისათვის, რომლის მთავარი მიზანი იყო – ახალგაზრდებთან ერთად ყოფილიყო მიმოხილული გლობალური ეკონომიკის გავლენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებზე, მათ შორის საქართველოზეც.

აქვე უნდა ითქვას, რომ სავალუტო ფონდი დღეისათვის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ეკონომიკურ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობას, საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას, თვალყურს ადევნებს ვალუტის სტაბილურობას და გასცემს კრედიტებს წევრ სახელმწიფოებზე საგადასახადო ბალანსების გასაწონასწორებლად. საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრია 1992 წლიდან.

პრაქტიკული რჩევები

როგორ აკიცილოთ ხორბლის ჩანასახის ტოქსიკური მოქმედება კვების დროს?

ეს ყველამ უნდა იცოდეს

ნუგზარ ალექსიძე

ბოლო ხანებში განსაკუთრებით მწვავედ დადგა ხორბლის ჩანასახის ლექტინ WGA-ის (Protein: Wheat germ agglutinin, WGA-Triticulum aestivum) უარყოფითი გავლენის პრობლემა ადამიანებზე.

WGA გამოირჩევა იმუნოტოქსიკური, ნეიროტოქსიკური და კარდიოტოქსიკური თვისებებით. გამოვლენილია აგრეთვე დარღვევები გენეტიკურ აპარატსა და ენდოკრინულ სისტემაში.

WGA-ის გავლენით ორგანიზმში საგრძნობლად მცირდება ბუნებრივად მკვლელი (NK) უჯრედების რაოდენობა და მათი აქტიურობა. WGA ნაწლავებსა და იმუნურ უჯრედებში ააქტიურებს ბაზოფილებიდან პროანთებითი პროცესების გამააქტიურებელ ინტერლეიკინ 6-ის გამოყოფას, რაც იწვევს წვრილი ნაწლავებისა და სახსრების ქრონიკულ ანთებას და სახსრებში არსებული ხრტილოვანი ქსოვილის დეგრადაციას. ადამიანებზე ლექტინ WGA-ის უარყოფითი გავლენის მიზეზად მიჩნეულია WGA-ს თერმოსტაბილური ბუნება და ნაწლავებში მათი დამშლელი ენზიმების მიმართ მდგრადობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა ადამიანებზე WGA-ით გამოწვეული უარყოფითი გავლენის პრევენციის საკითხი. საგულისხმოა, რომ ნაწლავებში არსებული მიკროფლორის მემბრანებზე ჭარბი რაოდენობითაა წარმოდგენილი WGA-ის დამაკავშირებელი რეცეპტორები, ამიტომ პრევენციის მიზნით საჭიროა WGA-ის მოქმედების განეიტრალებაში აქტიურად ჩაერთოს იმუნოგლობულინი A და ნერწყვში არსებული გლიკოპროტეინი მუცინი, რომელთა ზედაპირზე წარმოდგენილია WGA-ის შემბოჭავი და გამანეიტრალებელი ტერმინალური შაქარი N-აცეტილ-D-გლუკოზამინი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კვების დროს საჭიროა მაქსიმალურად დავლეჭოთ მიღებული საკვები, ვიდრე ლუკმა სრულად არ იქნება გაჯერებული ნერწყვით. ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ ნერწყვის თანაობისას, ცილა WGA მუცინით მაქსიმალურად იბოჭება და კავდება მისი ტოქსიკური მოქმედება და ერითროციტების აგლუტინაცია (შეწებება), რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ტრომბის წარმოქმნის რისკს.

რევმატოიდული არტრიტის დაავადების გამწვავებისას მაქსიმალურად უნდა მოვერიდოთ ხორბლის ფქვილისაგან დამზადებულ საკვებსა და ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა: არაქისი, სოიო, ქერი და ყველა ფერის წიწაკა. WGA-ის, როგორც ცილის სრული დენატურაციისა (ცილის სტრუქტურის დაშლა) და ინაქტივაციის მიზნით, სასურველია მივირთვათ ტოსტერში კარგად გახუხული პური, ნახშირწყლებით მდიდარი საკვები, ხილი და ბოსტნეული.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ WGA-ის გავლენით ძლიერდება პროანთებითი ქიმიური მესენჯერის ინტერლეიკინ 6-ის ბიოსინთეზი, რომლის მოქმედებითაც ხდება სახსრების ხრტილის ინტენსიური დაშლა, მოლეკულური ბიოლოგიისა და გენეტიკური ინჟინერიის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, შეიქმნა ინტერლეიკინ 6-ის რეცეპტორის ბლოკატორი ACTEMRA, რომლის გავლენითაც ხდება ინტერლეიკინ 6-ის მოქმედებისა და, შესაბამისად, ხრტილის დაშლის შეკავება. სერიოზული კლინიკური გამოცდების შემდეგ ეს სამკურნალო პრეპარატი წარმატებით გამოიყენება რევმატოიდული არტრიტის დაავადების სამკურნალოდ. სასურველია აღნიშნული პრეპარატი მივიღოთ თვეში ერთხელ დაავადების ადრეულ სტადიაზე ექიმის ყურადღების ქვეშ. ACTEMRA გამოიყენება აგრეთვე მოზარდების სისტემური იდიოპატური არტრიტის სამკურნალოდ ორი წლის ასაკიდან. არსებობს პირდაპირი კავშირი WGA-ის გავლენით ალცჰეიმერისა და ათეროსკლეროზის განვითარების რისკისა, ამიტომ, მკაცრად უნდა დავიცვათ კვების წესი, საკვების გაჯერება ნერწყვით და მივირთვათ „ტოსტერში“ გახუხული პური.

პროფესორი
ნუგზარ ალექსიძე

„ონომასტიკის ექვთიმე თაყაიშვილი“ ივანე ჯავახიშვილის მედლით დაჯილდოვეს

შერთხია ბეროშვილი

„ონომასტიკის ექვთიმე თაყაიშვილი,“ „მიწისზედა არქეოლოგიის პატრიარქი“, – ასე მოიხსენიებდნენ თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ პაატა ცხადაიას მისი დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, რომელსაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, მეცნიერის კოლეგები, მოწაფეები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

საიუბილეო ღონისძიებაზე არაერთხელ აღინიშნა ის ფაქტი, რომ ონომასტიკის ცენტრს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1976 წლიდან ფუნქციონირებს, დაარსების დღიდან, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, მუშაობა არ შეუწყვეტია და ამაში „ლომის წილი“, ონომასტიკის ლაბორატორიის დამაარსებელთან, ცნობილ ენათმეცნიერ ფარნაოზ ერთელიშვილთან ერთად, პაატა ცხადაიასაც მიუძღვის. იგი დღემდე ჩვეული თავდადებითა და ენერგიით აგრძელებს ამ სფეროში მოღვაწეობას, რის შედეგადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ კუთხით რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.

იუბილარ მეცნიერს თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ნანა გაფრინდაშვილი მიესალმა და მის მოღვაწეობაზე ისაუბრა: „დამსწრე საზოგადოებამ კარგად იცის, რომ მეცნიერმა, რომელიც მრავალი წელია სათავეში უდგას ონომასტიკის ცენტრს, მთელი თავისი ცხოვრება საყვარელ საქმეს მიუძღვნა. მან მთელი საქართველო ფეხით შემოიარა და მდიდარი, ფასდაუდებელი მასალა მოიპოვა. იგი დღემდე მუხლჩაუხრელად შრომობს და რჩება ონომასტიკის ერთგულ მცველად, რადგან კარგად იცის, რომ ეს არის ჩვენი ერის, კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი და სხვებსაც უქადაგებს, რომ არც ერთი ტოპონიმიკური ერთეული არ უნდა დაიკარგოს და განადგურდეს. პაატა ცხადაიას დიდი დამსახურებაა ისიც, რომ იგი ცდილობს ახალგაზრდებსაც გადასდოს ამ დარგის სიყვარული და ამ მხრივაც სამაგალითოა. თავმდაბალი, ჩუმი და წყნარი ადამიანია, მაგრამ ეს მანამდე, სანამ რომელიმე ლექსიკურ ერთეულს და, ზოგადად, ონომასტიკას არ შეეხება საქმე. ამ იუბილეზე ჩვენ მას შეგვიძლია ვუთხრათ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზრუნავდა და მომავალშიც იზრუნებს ონომასტიკის განვითარებაზე“, – აღნიშნა ნანა გაფრინდაშვილმა.

იმის ნიშნად, თუ რამდენად აფასებს უნივერსიტეტი მეცნიერის ღვაწლს, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, რექტორის მრჩეველმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ პაატა ცხადაიას ივანე ჯავახიშვილის მედალი გადასცა.

„პაატა ცხადაია წლების მანძილზე კოლეგებთან ერთად, ხანაც სრულიად მარტო, პატრონობდა ტოპონიმიკის ლაბორატორიას. მან ბევრ გაჭირვებას და განსაცდელს გაუძლო და ღირსეულად გაიარა სამეცნიერო ცხოვრების გზა. ამ წლების მანძილზე მან მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნა. ყველამ იცის, რომ იგი მასალის მოსაპოვებლად დაუღალავად დადიოდა მთებში თუ მიუვალ სოფლებში. მიუხედავად თავისი ასაკისა, ასეთ ექსპედიციაში ორი წლის წინათაც იყო. პაატა ცხადაიას თამამად შეგვიძლია „ქართული ენის არქეოლოგი“ ვუწოდოთ. ამიტომ, ქართული ტოპონიმიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და უდიდეს მკვლევარს, მთელი უნივერსიტეტის სახელით, მინდა, მივულოცო იუბილე და მომავალშიც წარმატებები ვუსურვო საყვარელი საქმიანობის გაგრძელებაში. წარსულში მას მიღებული აქვს უნივერსიტეტის მედალი, დღეს კი „თსუ-ში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისთვის, ქართველოლოგიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და განსაკუთრებული ღვაწლისათვის“ იგი ივანე ჯავახიშვილის მედლით ჯილდოვდება“, – განაცხადა დარეჯან თვალთვაძემ.

მეცნიერს დაბადების დღე მიულოცა პროფესორმა ზურაბ ჭუმბურიძემ: „პაატა ცხადაიამ უნივერსიტეტში მოსვლისთანავე გამოიჩინა თავი, როგორც ნიჭიერმა ახალგაზრდამ. იგი ტოპონიმიკის ლაბორატორიის დამფუძნებელთან, ფარნაოზ ერთელიშვილთან ერთად თავდადებით იღვწოდა ამ სფეროს განვითარებისთვის. პაატა ცხადაია, წლების განმავლობაში, ხშირად ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობდა და უზარმაზარი საქმე გააკეთა. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ჩვენ ამჟამად თავს ვიწონებთ უნივერსიტეტში შექმნილი ონომასტიკის ცენტრით“, – აღნიშნა ზურაბ ჭუმბურიძემ.

ონომასტიკის ცენტრის მუშაობაზე, მის როლზე და პაატა ცხადაიას დამსახურებაზე ისაუბრეს პროფესორებმა: შუქია აფრიდონიძემ, ელგუჯა ხინთიბიძემ, მერაბ ჩუხუამ, დამანა მელიქიშვილმა, ავთანდილ არაბულმა და სხვებმა.

პაატა ცხადაიამ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა ღვაწლის დაფასებისთვის.

ღონისძიების ბოლოს ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო ცენტრის მიერ ახალი გამოცემების (იგორ კეკელია – „პაატა ცხადაია – ქართველური ონომასტიკის მოჭირნახულე“, შუქია აფრიდონიძე – „ქართველური ონომასტიკა – VIII“, პაატა ცხადაია – „საკუთარი სახელი მეგრულ (ლაზურ) ენაში“, პაატა ცხადაია – „ონომასტიკური ძიებანი“, დოდო ქიტუაშვილი – „წინარეხის თემის ონომასტიკური მასალა“, გიორგი ქიტოშვილი – „ზიარისა და ფხოველის ონომასტიკური მასალა“) პრეზენტაცია გაიმართა.

„დაბრუნება“ უნივერსიტეტში

თამარ დადიანი



ვახტანგ კოტეტიშვილის „დაბრუნება“ უნივერსიტეტში – ეს განწყობა სუფევდა უნივერსიტეტში გამართულ ვახტანგ კოტეტიშვილის „წერილების“ წარდგინებაზე, რომელიც ჩვენი თანამედროვე ფოლკლორისტის, აწ გარდაცვლილი ვახუშტი კოტეტიშვილის მამა გახლდათ.

კრებული ვახტანგ კოტეტიშვილის წერილების პირველ პუბლიკაციებსა და რეპუბლიკაციებს წარმოადგენს, რომელიც XX საუკუნის 10-20-იანი წლების პრესამ და ვახტანგ კოტეტიშვილის პირადმა არქივმა შემოგვინახა. წერილები როგორც კონკრეტული პიროვნების, ასევე იმ რთული და წინააღმდეგობრივი ეპოქის უტყუარი სურათია.

„ჩვენი მიზანია ვახტანგ კოტეტიშვილს, რომელიც პირველსახოვანი ფოლკლორისტის სახელითაა ცნობილი, მეტი არგუმენტაციით შეემატოს ლიტერატორის კრიტიკოსის, ახალი ესთეტიკის შემქმნელისა და პუბლიცისტის სახელი. ამასთან, ვფიქრობთ, რომ წერილები ხელოვნების შესახებ უფრო რეალისტურსა და არგუმენტირებულს გახდის კულტურის ამ სფეროში მის მიერ შეტანილი წვლილის ხარისხსა და მნიშვნელობას. ყოველ შემთხვევაში, თქვენს წინაშეა ვახტანგ კოტეტიშვილის წერილების რეპუბლიკაციის იმგვარი ცდა, რომელშიც განმსაზღვრელი ავტორის ნებაა და არა რაიმე სახის კონიუნქტურა. იმედია, ეს წიგნი ხელს შეუწყობს საინტერესო და წინააღმდეგობრივი დროის ქართველის ნააზრევის ყოველდღიურ ლიტერატურულ მიმოქცევაში დაბრუნებას. ჩვენ მხოლოდ ბიძგს ვაძლევთ ამ ნაწერებს, გზას კი ისინი თავად გაიკვლევენ“, – წერს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნონა კუპრეიშვილი, რომელმაც თავი მოუყარა სტალინის რეჟიმის მიერ დახვრეტილი დიდი მამულიშვილის, ვახტანგ კოტეტიშვილის ნააზრევს – გაფანტულს გასული საუკუნის 10-20-იანი წლების ქართულ პერიოდიკასა და არქივებში. მკითხველს პირველად ეძლევა საშუალება – გაიცნოს ვახტანგ კოტეტიშვილი თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით: იგი იყო ლიტერატურის ისტორიკოსი, ფოლკლორისტი, სოციოლოგი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ესეისტი, ისტორიკოსი, მოქანდაკე, მხატვარი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე.

აი, რა წერია დიდი პატრიოტის, საქართველოს დამოუკიდებლობის მგზნებარე დამცველის დაპატიმრების ოქმში, რომელიც ამ წიგნშია წარმოდგენილი: „აგენტებმა შინსახკომს აცნობეს, რომ ის განწყობილი იყო ანტისაბჭოურად, პესიმისტურად, თითქმის ვერ ხედავდა საბჭოთა სინამდვილის პერსპექტივას. ექსპედიციებში ცოტას მუშაობს. სამაგიეროდ, საჯარო გამოსვლებს აწყობს. უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ რუსთაველის ინსტიტუტის ფოლკლორის ხელმძღვანელად ახალგაზრდა სპეციალისტი ჩიქოვანი დანიშნეს, რომლის ხელმძღვანელობით მუშაობა კოტეტიშვილს არ სურს. თავის ნაწარმოებებში სოციალიზმის გამარჯვება არ სჯერა“. სწორედ ეს ანტისაბჭოთა განწყობა გახდა მიზეზი „ტროიკის“ მიერ მისი დახვრეტისა. და აი, დღეს მისი გარდაცვალებიდან 80 წლის შემდეგ კიდევ ინტერესითა და აღფრთოვანებით ვსაუბრობთ დიდი პატრიოტის, სამაგალითო მოღვაწის კულტურულ-შემოქმედებით მემკვიდრეობაზე.

პრეზენტაციაზე ვახტანგ კოტეტიშვილის „წერილების“ ლიტერატურულ ღირებულებასა და მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრეს რეცენზენტებმა: ასოცირებულმა პროფესორმა თამარ შარაბიძემ და ფილოლოგიის დოქტორებმა: ნინო პოპიაშვილმა და ნაირა ბეპიევამ.

პროფესორმა თამარ შარაბიძემ ვახტანგ კოტეტიშვილის ლიტერატურული და კრიტიკული წერილების მიმოხილვა დაიწყო წერილით: „შავი სიტყვა“, სადაც ავტორი სინამდვილის სწორად აღსაქმელად მამხილებლურ ტონს ირჩევს. „ვახტანგ კოტეტიშვილმა მოღვაწეობა ილიასებური შეტევითი ხასიათის წერილებით დაიწყო: „მკაცრი სიტყვა დაგვეკარგაო, ჩვენი მწერლობა კი საჯირითო დოღად გადაიქცაო“, – მამხილებლად ყოერს ახალგაზრდა ლიტერატორის ეს სიტყვები. წერილსაც „შავი სიტყვა“ ჰქვია; შავია, რადგან კარგად მოჩანს ჩვენი ცხოვრების სიმდაბლე, მასში შავი ფერი სჭარბობს, ნათელი ტონების მიმატება კი ავტორს არ ძალუძს. ვახტანგ კოტეტიშვილი გვიჩვენებს ლიტერატურისა და, ზოგადად, ხელოვნების ჩამორჩენის მიზეზს, ასახავს შედეგს და წინ უდებს ლიტერატორს გზას: „მახვილი სმენაა საჭირო, რომ ცხოვრების ნაკარნახევი გასაგონი გახდეს, ღრმა შეგნებაა საჭირო, რომ გაითვალისწინო, რა იკისრე... წინააღმდეგ შემთხვევაში, სინამდვილე წაგაბორძიკებს. მაღლა ასვლაა საჭირო, რომ მეტი დაინახო“. „საკაცობრიო დოღში ჩანჩალი“, მისი აზრით, ქართული მერნის ბრალი კი არ არის, არამედ – მისი მხედრის...“, – განაცხადა რეცენზენტმა.

ფილოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა, უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა ნაირა ბეპიევამ წიგნის წარდგინებაზე ვახტანგ კოტეტიშვილის ორი წერილი: „ილია ჭავჭავაძე“ და „სიმახინჯე, როგორც სახე XIX საუკუნის ქართველისა – დღევანდლამდის“ მიმოიხილა და ავტორს ილიას გზის სულიერი და შემოქმედებითი მემკვიდრე უწოდა.

„ჩემი მოკრძალებული აზრით, რაც კი ვახტანგ კოტეტიშვილს შეუქმნია, ყველაფერს წინ ეპითეტად სიტყვა ,,ეროვნული“ უნდა ერთვოდეს და როგორც ლიტერატურათმცოდნეობაში, ენათმეცნიერებაში და მრავალ სხვა დარგში სწორი დიაგნოზის დამსმელმა მეცნიერმა მიხეილ ჭურდიანმა წარმოაჩინა, იგი ,,ეროვნული ესთეტიკის შემქმნელად“ უნდა მოიხსენიებოდეს.

მნიშვნელოვანია, რომ ვახტანგ კოტეტიშვილი არ იყო „საკუთარ ნაჭუჭში“ გამოკეტილი პიროვნება, იგი ფართო დიაპაზონის მოაზროვნეა. მისთვის მოძმის საწუხარი საკუთარივით მტკივნეულია. ვახტანგ კოტეტიშვილი არა მარტო ქართველთა ცხოვრების, მისი მაჯისცემის თვალ-ყურმადევარია, იგი კავკასიელთა საერთო ტკივილსაც ღიად აცნობიერებს. ყველასთვის ცნობილია, რომ კავკასიელებს ველურებად ნათლავდნენ, მათ კულტურას ველურობას უწოდებდნენ. თუ სცადე შენი თავის დაცვა, შენი ერის დარაჯობა, შენი ერის ქომაგობა – ეს ველურობაა, უკულტურობაა?

ვახტანგ კოტეტიშვილმა კარგად იცოდა, რომ ველურობა და უკულტურობა სხვის კუთვნილებაზე ხელის წაპოტინება და მისაკუთრებაა და არა საკუთარის დაცვა-შენარჩუნება.

და ბოლოს, ვახტანგ კოტეტიშვილს უფლის საჩუქარი უწოდეს რადიო „თავისუფლების“ ერთ-ერთ რადიოგადაცემაში... დიახ, ვახტანგ კოტეტიშვილი იყო ერისათვის უფლის საჩუქარი. ღმერთმა ნუ მოაკლოს ქართველ ერს და მთლიანად კავკასიას ასეთი საჩუქარი... დროდადრო მაინც... – ამ სათქმელით დაასრულა თავისი გამოსვლა პროფესორმა ნაირა ბეპიევამ.

კრებულის შემდგენელი ნონა კუპრეიშვილი რენესანსული ტიპის მოღვაწეს უწოდებს ვახტანგ კოტეტიშვილს და მისი მოღვაწეობის მასშტაბურობაზე მიგვანიშნებს: „იგი არის ლიტერატურის კრიტიკოსი, ესთეტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე და საზოგადო მოღვაწე. ამიტომაც წიგნში წერილები დაიყო ორ ჯგუფად: პირველი ჯგუფი არის „ლიტერატურა, კრიტიკა, ხელოვნება“, მეორე ჯგუფი – „საზოგადოება და პოლიტიკა“. ყველგან პრინციპული და მართალია ეს ადამიანი, ეხება საქმე ლიტერატურას თუ საზოგადოების მოწყობის საკითხებს და, რაც მთავარია, მისი ეს პოზიცია გამყარებულია ენციკლოპედიური ცოდნით“, – აღნიშნა ნონა კუპრეიშვილმა, რომელმაც ვახტანგ კოტეტიშვილის ცხოვრებიდან საინტერესო ფაქტებიც გაიხსენა: „ვახტანგ კოტეტიშვილს მუდმივად ეკეთა შავი დიდი ბაფთა. ამბობენ, რომ ესეც ერთ-ერთი საბაბი იყო მისი დაკავებისა. რატომ გიკეთია შავი ბაფთაო, ჰკითხეს. რას ნიშნავს ეს, შავი ბაფთა, საქართველოს გლოვობო? რაზეც უპასუხა: აბა, წითელი ბაფთა გავიკეთო? რა, კლოუნი ხომ არ ვარო. წითელი ბაფთა, მოგეხსენებათ, ლენინს ეკეთა ხოლმე“. ასე რომ, წიგნის ავტორი არა მარტო თავისი შემოქმედებით აპროტესტებდა საბჭოთა რეჟიმის მიუღებლობას, არამედ გარეგნული ნიშნებითაც უსვამდა ხაზს თავის პრინციპულობას.

ვახტანგ კოტეტიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობის მნიშვნელოვან ასპექტებზე ისაუბრა აგრეთვე წიგნის ერთ-ერთმა რედაქტორმა ამირან არაბულმაც, რომელმაც სიმბოლურად მიიჩნია დიდი მამულიშვილის უნივერსიტეტში „დაბრუნება“.

რა მოხსენებებით წარსდგა ქართველ მეცნიერთა ჯგუფი ქალაქ ამადორაში გამართულ კონფერენციაზე

მაია ტორაძე

5-9 ივნისს პორტუგალიის ქალაქ ამადორაში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია „დიფერენციალურ და სხვაობიან განტოლებებსა და გამოყენებებში“ (ICDDEA – 2017) International Conference Differential and Difference Equations & Applications – 2017 - (Military Academy Amadora, Portugal – 5-9 – VI, 2017).

კონფერენციაზე მოხსენებებით წარსდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფი: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ილია თავხელიძე („რთული“ კონფიგურაციის მქონე გეომეტრიული ფიგურებისა და მათი მოძრაობის ფართო კლასის ანალიზურად წარმოდგენისა და კლასიფიკაციის ერთი მეთოდის შესახებ), თსუ-ს რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერები: ნანა ოდიშელიძე და ნუგზარ შავლაყაძე („სინგულარულ ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებათა შესწავლა, რომლებიც დაკავშირებულია ბლანტი დრეკადობის თეორიის საკონტაქტო ამოცანებთან,“) და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ოთარ ჯოხაძე („პერიოდული ამოცანა ტელეგრაფის არაწრფივი განტოლებისათვის“).

კონფერენციაზე პლენარული მოხსენებისთვის დრო დაეთმო პროფესორ ილია თავხელიძეს, რომელიც ბერძენ მეცნიერთან ერთად ასევე მიწვეულ იქნა სამხედრო აკადემიის კადეტებისთვის საჯარო ლექციის წასაკითხად.

„კონფერენცია მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარდა. ჩემთვის სასიამოვნო აღმოჩენა იყო, რომ ამ ქვეყანაში სამხედრო საქმესთან კავშირში განიხილავენ ზუსტ მეცნიერებებს და მიაჩნიათ, რომ სამოქალაქო განათლება განაპირობებს წარმატებებს სამხედრო საქმეშიც. კონფერენციის გახსნაზე თავდაცვის მინისტრის მოადგილე გვესტუმრა, კონფერენციის მუშაობაში აქტიურად იყო ჩართული აკადემიის რექტორი, რაც იმის მანიშნებელია, რომ დიდ პატივს სცემენ მათემატიკურ მეცნიერებას. რაც შეეხება ჩვენს მოხსენებებს, უნდა ვთქვა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საკმაოდ ძლიერად იყო წარდგენილი და ყველა მოხსენებამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 210-მდე მეცნიერის დიდი ყურადღება დაიმსახურა“, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ილია თავხელიძემ.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულება უნივერსიტეტის ის ძლიერი სეგმენტია, რომელიც განაპირობებს თსუ-ს მაღალ მონაცემებს მსოფლიოს უნივერსიტეტების სხვადასხვა სარეიტინგო სისტემაში. წლიდან წლამდე აქ ტარდება არაერთი სამეცნიერო კონფერენცია, სემინარი და სამუშაო შეხვედრა, სადაც აქტიურად მონაწილეობენ უცხოელი მეცნიერებიც.

სწორედ ამგვარი სამუშაო შეხვედრა – „თბილისი-სალერნოს მეორე შეხვედრა“ გაიმართა თსუ-ში 2015 წელს და მასზე წარდგენილი მოხსენებები იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ, ანტვერპენის უნივერსიტეტის ინიციატივით, მასალები კრებულად გამოიცა.

კრებული „Modeling in Mathematics“ სულ ცოტა ხნის წინ, 23 აპრილს (სიმბოლურია, რომ ილია ვეკუას დაბადების დღეს) გამოსცა გამომცემლობა „Springer“-ის შვილობილმა კომპანია „Atlantis“-მა. მის გამოცემაში, თსუ-სთან ერთად, მონაწილეობდნენ ანტვერპენისა და სიმონ სტერლინის ინსტიტუტი. მასში სულ 11 მოხსენება შევიდა. სამი ნაშრომი ეკუთვნის ქართველი ავტორებს: მათგან ერთი – რევაზ გრიგოლიას და ნუნუ მიცკევიჩს (იტალიელ მეცნიერ ანტონიო დინოლასთან ერთად) და ორი – ილია თავხელიძეს (ჰოლანდიელ, ბელგიელ, იტალიელ და ქართველ მეცნიერ მამანტი როგავასთან ერთად).

კრებული „Modeling in Mathematics“ განთავსებულია „Springer“-ის ვებ-გვერდზე https://link.springer.com/book/10.2991/978-94-6239-261-8#editorsandaffiliations.



უკრაინისტიკის ცენტრმა თანამედროვე უკრაინელ მწერალს მარიანა კიანოვსკას უმასპინძლა

თამარ დადიანი

თსუ-ს უკრაინისტიკის ცენტრმა თანამედროვე უკრაინელ მწერალს მარიანა კიანოვსკას უმასპინძლა. შეხვედრას ესწრებოდნენ თსუ-ს უკრაინისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ოთარ ბაქანიძე და ახალგაზრდა მეცნიერები: ვანო მჭედელაძე, ნინო ნასყიდაშვილი, სოფო ჩხატარაშვილი და სხვები.

მარიანა კიანოვსკა

უკრაინელი პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი და მთარგმნელი მარიანა კიანოვსკა საქართველოში საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის მონაწილეა, სადაც იგი ქართველ კოლეგებს ხვდება და ქართული ლიტერატურის განვითარებას ეცნობა. მან დიდი სურვილი გამოთქვა შეხვედროდა თსუ-ს უკრაინისტიკის ცენტრში იმ ქართველ მეცნიერებს, რომლებიც უკრაინული კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის სპეციალისტები არიან. პროფესორმა ოთარ ბაქანიძემ სტუმარს თსუ-ს უკრაინისტიკის ცენტრის საქმიანობის შესახებ მოუთხრო და აღნიშნა, რომ ეს არის მნიშვნელოვანი კერა უკრაინელი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობისა; უკრაინული ხელოვნების, ლიტერატურის პოპულარიზაციისა.

„საქართველოს და უკრაინას განსაკუთრებული ურთიერთობები აკავშირებს, რომელიც მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობების გარდა, დაფუძნებულია საერთო ინტერესებზე. მიუხედავად ჩვენ წინაშე არსებული გამოწვევებისა, საქართველო და უკრაინა აგრძელებენ განვითარებას, რაც ორივე ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაზეც აისახება. ორ ქვეყანას შორის კულტურული თანამშრომლობის გაღრმავება და განვითარება გააძლიერებს და განამტკიცებს მრავალწლიან კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას“, – განაცხადა პროფესორმა ოთარ ბაქანიძემ.

მწერალი მარიანა კიანოვსკა უკვე დიდი ხანია მეგობრობს ქართველ კოლეგებთან: რაულ ჩილაჩავასთან, შოთა იათაშვილთან და სხვებთან. მან უკრაინულ ენაზე თარგმნა რამდენიმე ქართველი ავტორის ნაწარმოები, რომელიც მკითხველთა წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

„თბილისში ხშირად ჩამოვდივარ და ყოველთვის ისეთი განცდა მაქვს, რომ ეს ვიზიტები არაოფიციალურია. მეგობრები, კოლეგები ერთად ვსხდებით და ვსაუბრობთ სხვადასხვა საკითხებზე. ეს ურთიერთობა და თანამშრომლობა ყოველგვარ ოფიციალურ ჩარჩოებს სცილდება.

ჩემთვის დიდი პატივია თსუ-ს უკრაინისტიკის ცენტრში სტუმრობა და იმ ქართველ მეცნიერებთან შეხვედრა, რომლებიც უკრაინული კულტურის, ლიტერატურის მკვლევრები არიან. საინტერესოა მათი თვალით დანახული უკრაინული კულტურა და უკრაინელი ავტორების შეფასება. იმედი მაქვს, ეს სამეცნიერო ცენტრი მნიშვნელოვან სიტყვას იტყვის ქართულ-უკრაინული ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით“, – განაცხადა მარიანა კიანოვსკამ.

შეხვედრაზე უკრაინელმა მწერალმა თანამედროვე უკრაინული ლიტერატურის მიმდინარეობებსა და იმ ტრადიციებზე ისაუბრა, რაც დღეს დამახასიათებელია უკრაინული ლიტერატურისთვის. როგორც მწერალმა აღნიშნა, უკრაინული ლიტერატურის განვითარება 2004 წლიდან დაიწყო და ახლა მას ვერცხლის ხანა უდგას. უკრაინელი თანამედროვე ავტორები დღეს მსოფლიოში ცნობილი ავტორები არიან, მრავალ ენაზე ითარგმნება მათი შემოქმედება და უცხოეთის ქვეყნებში ძალიან პოპულარული ხდება. „უფროსი თაობის მწერლების უმრავლესობა ათასწლეულთა მიჯნაზე ახალგაზრდების უმრავლესობისგან განსხვავებულად წერს. ხოლო თუ ხარისხობრივ ჭრილზე ვილაპარაკებთ, ამჟამად უკრაინულ ლიტერატურაში ვხედავთ განსხვავებული ტრადიციების თანაარსებობას, რომელთაგან თითოეული, სულ ცოტა, ორი-სამი მნიშვნელოვანი სახელითაა წარმოდგენილი“, – აღნიშნა მარიანა კიანოვსკამ.

მწერალმა უკრაინელი ახალგაზრდების ესთეტიკურ-ლიტერატურულ გემოვნებასა და ინტერესებზეც ისაუბრა. „მხატვრული ლიტერატურით დაინტერესება გარკვეული სტატუსის მატარებელია უკრაინულ საზოგადოებაში და ამიტომ ახალგაზრდები ამ გზითაც ცდილობენ საზოგადოებაში ღირსეულად თავის დამკვიდრებას. განათლებული, ნაკითხი ახალგაზრდები ყოველთვის იმსახურებდნენ გარშემომყოფთა სიმპათიას და აღფრთოვანებას“, – აღნიშნა მარიანა კიანოვსკამ, რომელიც ავტორია პოეტური კრებულების: „ინკარნაცია“, „სონეტთა გვირგვინები“, „მითშემოქმედება“, „სიყვარული და ომი“ (მარიანა სავკას თანაავტორობით), „ადამის წიგნი“, „ჩვეულებრივი ენა“, „373“ და მოთხრობების წიგნისა „მდინარისპირა ბილიკი“. მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, პოლონურ, სერბიულ, სლოვენურ, რუსულ და ბელორუსულ ენებზე. არის ნესტორ ჟამთააღმწერლის სახელობის ლიტერატურული პრემიისა და პოეტური ფესტივალის „კიევსკიე ლავრი“ ლაურეატი.

შეხვედრის ბოლოს უკრაინელმა მწერალმა მადლობა გადაუხადა ქართველ მეცნიერებს თბილი და საინტერესო შეხვედრისათვის, რომელიც თსუ-ს უკრაინისტიკის ცენტრში 30 მაისს გაიმართა.

გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) ყოფილი სტიპენდიატების შეხვედრა თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) ყოფილი სტიპენდიატების შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, ვიცე-პრემიერი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ჰაიკე ფაიჩი, DAAD-ის გენერალური მდივნის მოადგილე ულრიხ გროტჰუსი, პროფესორები, სტუდენტები, მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

თსუ-ს რექტორის გიორგი შარვაშიძის თქმით, ღონისძიება საქართველო-გერმანიის სამეცნიერო კავშირებს ეძღვნება და ორგანიზებულია DAAD-თან ერთად, რომლის კურსდამთავრებულებს მასპინძლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. „1988 წლიდან მოყოლებული, თსუ-ს DAAD-თან ურთიერთობის ძალიან დიდი გამოცდილება აქვს. წარმოვადგენთ იმას, რაც ერთობლივად უკვე გაკეთებული გვაქვს და ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა მომავალი, რა პერსპექტივა აქვს ჩვენს ორმხრივ ურთიერთობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მას შემდეგ, რაც საქართველო გახდა ჰორიზონტი 2020-ის წევრი, გაცილებით მეტი საშუალება გვაქვს, რომ ერთობლივი სამეცნიერო პროექტები ვაწარმოოთ“, – განაცხადა რექტორმა.

DAAD-ის გენერალური მდივნის მოადგილის ულრიხ გროტჰუსის აზრით, საქართველო არის DAAD-ის ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორი უკვე მრავალი წელია და ამ ხნის განმავლობაში საქართველოდან ასობით სტიპენდიატი იყო ჩართული პროექტებში.

„გერმანული სტიპენდიებით, მათ შორის სტუდენტური, სადოქტორო სტიპენდიებით, სამეცნიერო გაცვლითი პროექტებით ძალიან ბევრი ქართველი და გერმანელი სტუდენტი თუ მეცნიერი სარგებლობს. გერმანია არის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი საქართველოს ევროატლანტიკური ამბიციების და ინტეგრაციის პროცესის. განათლების სფეროში ხელშეწყობა არის მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის. დღეს DAAD-ის კურსდამთავრებულებს მივესალმებით, მადლობას ვუხდით ამ ორგანიზაციას და დავსახავთ შემდგომი თანამშრომლობის გეგმებს“, – აღნიშნა ვიცე-პრემიერმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

„გერმანიასა და საქართველოს ძალიან აქტიური ურთიერთობა აქვთ აკადემიურ სფეროში, რომელიც ყოველ წელს იხვეწება. დიდი მადლობა DAAD-ს იმ საქმიანობისთვის, რომელსაც მრავალი წელია აქტიურად ეწევა. ეს სტიპენდია განათლების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლამ კიდევ უფრო დააახლოვა საქართველო გერმანიას და ევროპას. DAAD-ი ერთგვარი ხიდია საქართველოსა და გერმანიას შორის“, – განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში ჰაიკე ფაიჩიმ.

გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ორგზის სტიპენდიატია თსუ-ს პროფესორი, თბილისის მერი დავით ნარმანია. „მე, როგორც ამ პროგრამის ორგზის სტიპენდიატი, მოხსენებას გავაკეთებ ჩვენი ქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობებზე. გერმანულ გამოცდილებასა და ადგილობრივ რეალობაზე დაყრდნობით ვისაუბრებ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის გერმანული ინვესტიციების განხორციელება“, – აღნიშნა დავით ნარმანიამ.

გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ყოფილი სტიპენდიატების შეხვედრა „ქართულ-გერმანული სამეცნიერო ურთიერთობები: პარტნიორები ტრადიციასა და ინოვაციას შორის“ საქართველო-გერმანიის წლის მრავალფეროვანი თემებისა და ღონისძიებების ფარგლებში ტარდება. ამ შეკრებით ტრადიციულად აღინიშნება ინტენსიური სამეცნიერო ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის. ორდღიან ღონისძიებაზე თსუ-ში გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) დაახლოებით 120 ყოფილი სტიპენდიატი იკრიბება და მონაწილეობას იღებს გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლების პლენარულ და საგნობრივ მოხსენებების განხილვასა და დისკუსიებში. მოხსენებები შეეხება ისეთ თემებს, როგორიცაა საქართველოს სასამართლო სისტემის ევროპეიზაცია, საქალაქო ეკოლოგია არქიტექტორებისა და გარემოს დამცველების მონაწილეობით, ქართულ-გერმანული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები, აქტუალური დისკურსები ისტორიასა და საზოგადოებაში, ქართული ეკონომიკისა და პოლიტიკის ტრანსფორმაციის პროცესები, ასევე საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში არსებული სამედიცინო სტანდარტების დაახლოება აქტუალურ სტანდარტებთან.

საჯარო ლექცია

ადამიანის ადრეულ ასაკში განვითარებაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორები

ნატო ობოლაძე

თსუ-ს, საქართველოს ბავშვთა ადრეული ინტერვენციის კოალიციის ორგანიზებითა და ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით საჯარო ლექციათა ციკლი დაიწყო. პროექტის მიზანია მშობლების, სტუდენტების და, ზოგადად, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ადამიანის ადრეულ ასაკში განვითარებაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ. პირველი ლექცია თსუ-ში ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ წაიკითხა თემაზე – „სოციალურ-ემოციური სფეროს და თვითრეგულაციის განვითარების მნიშვნელობა ადრეულ ასაკში“. მოხსენებაში წარმოდგენილი გახლდათ – თუ როგორ მოქმედებს ბავშვის თავის ტვინის განვითარებაზე და შემდგომში მის სწავლაზე ემოციური სფეროსა და თვითრეგულაციის უნარის ნორმალური განვითარება. ასევე ნაჩვენებია ბავშვის სრულფასოვან კოგნიტურ განვითარებასთან მის ემოციურ-სოციალურ სფეროს განვითარებაზე ზრუნვის მნიშვნელოვანი კავშირი.

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ისაუბრა მეცნიერების ახალ ნეიროფსიქოდინამიკურ მიმართულებაზე, რომლის მიხედვითაც ადრეულ ასაკში ემოციური სფეროსა და თვითრეგულაციის განვითარება გავლენას ახდენს ბავშვის არა მხოლოდ პიროვნების ფორმირებაზე, არამედ თავის ტვინის ფუნქციონირებაზეც.

„სიცოცხლის პირველი ხუთი წლის განმავლობაში სოციალური კომპეტენციებისა და ემოციური განვითარება აღმოჩნდა მნიშვნელოვან კავშირში ბავშვის მომავალ მიღწევებთან, სოციალურ ურთიერთობასთან და გარემოსთან ადაპტაციასთან. ბევრი კვლევა ჩატარდა, სადაც კარგად არის ასახული ამ კავშირების მნიშვნელობა. 2010 წელს გამოქვეყნდა კვლევების ყველაზე დიდი მეტაანალიზი. ამ დაკვირვებებმა ხელი შეუწყო ფსიქოდინამიკური ფსიქოლოგიისა და ნეირომეცნიერების ხედვის დაახლოებას. ნეიროფსიქოდინამიკური მეცნიერება აღმოჩნდა სრულიად ახალი მიმართულება. ეს არის ნეირომეცნიერების და ფსიქოდინამიკური თეორიის ინტეგრირების მცდელობა, რომელიც გულისხმობს, რომ ჩვილობასა და ადრეულ ბავშვობაში ობიექტთან მიჯაჭვულობა და დამოკიდებულება გავლენას არა მხოლოდ ინდივიდის პიროვნების ჩამოყალიბებაზე, არამედ მისი თავის ტვინის ფორმირებაზეც ახდენს. აქამდე ცნობილი იყო, რომ ადრეულ განვითარებას გავლენა ჰქონდა შემდეგ ჩვენს ცხოვრებაზე, მაგრამ ნეირომეცნიერების ახალი კვლევების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ასევე გავლენას ახდენს ჩვენი ტვინის ნეირონალური კავშირებისა და წრეების ფორმირებაზე.

უახლესი კვლევების მიხედვით, ბავშვის თავის ტვინის განვითარება შესაძლებელი აღმოჩნდა მხოლოდ სხვის თავის ტვინთან ურთიერთობის დროს. შესაბამისად, ბოლო პერიოდში გამოჩნდა კვლევები, რომლის დროსაც ორი ადამიანის თავის ტვინს ინტერაქციაში იკვლევენ. კვლევებმა აჩვენა, რომ ორი თავის ტვინი ინტერაქციაში აბსოლუტურად განსხვავებული რამ არის, ვიდრე ერთი თავის ტვინი თავის ფუნქციონირებაში. ბავშვის თავის ტვინის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მისი სოციალურ გარემოსთან ინტერაქციის შედეგად, რაც გაშუალებულია მისი აფექტურ-ემოციური ინტერაქციით“, – განაცხადა თამარ გაგოშიძემ.

საჯარო ლექციის პროცესში გამოიკვეთა, რომ ადრეული ემოციურ-სოციალური განვითარება პირდაპირ-პროპორციულად მოქმედებს საზოგადოების ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ადამიანებს შორის ურთიერთობებზე. ადრეული ემოციურ-სოციალური განვითარებისას ბავშვი სწავლობს საკუთარი ემოციების მართვას, სხვისი ემოციების გარჩევას, სხვისი აზრებისა და გრძნობების პატივისცემას. ემოციურ-სოციალური განვითარების ნატურალური პროცესის დარღვევის შემთხვევაში კი შედეგები თავს იჩენს ზრდასრული ადამიანის ქცევაში. თამარ გაგოშიძის განცხადებით, ის, რომ დღეს საზოგადოებაში, ხშირ შემთხვევაში ოჯახის წევრების მისამართით, ძალადობის თუ მკვლელობის უამრავი ფაქტი ხდება, მეტყველებს იმაზე, რომ მიზეზები ისეთი ინსტიტუციების როლში უნდა ვეძებოთ, როგორიცაა – ოჯახი, საბავშვო ბაღი, სკოლა.

„სკოლასა და საბავშვო ბაღზე საუბრისას ჩვენ ყურადღებას მხოლოდ სწავლის ხარისხს ვაქცევთ. ამას ხელს უწყობენ მშობლებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ფულს იხდიან, რათა მათმა შვილებმა მხოლოდ ცოდნა მიიღონ – 3 წლის ასაკიდან იცოდნენ 3 ენა, ისტორია და ასე შემდეგ. გამჭრალია დედის, როგორც პერსონის; შვილის, როგორც პერსონის; ასევე აღმზრდელის, როგორც პერსონის, როლი. ბავშვის ემოციურ-სოციალური სფეროს განვითარება გათვალისწინებული არ არის. შეცდომაა, როდესაც შვილს და მოსწავლეს ვუკლავთ ცნობისმოყვარეობას ფრაზებით – რამდენჯერ უნდა მკითხო? რა სულელური კითხვებს სვამ? და ა.შ. თანამედროვე ვითარებაში ინფორმაციის ნაკადმა, ვირტუალურმა რეალობამ ოჯახის წევრები ერთმანეთისგან კიდევ უფრო გათიშა. ბავშვის განვითარებისთვის კი ძალიან მნიშვნელოვანია მიბაძვა, კონტაქტი, ურთიერთობა, რომლის გარეშეც ადრეული სოციალურ-ემოციური განვითარების ნატურალური პროცესი ირღვევა“, – აღნიშნა პროფესორმა თამარ გაგოშიძემ.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ ბავშვის ემოციურ განვითარებასთან მისი კოგნიტური განვითარება მჭიდრო კავშირშია. ემოციურ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების, მაღალი შფოთვისა და დაბალი თვითშეფასების გამო ხშირად ბავშვებს უჭირთ სასწავლო მასალის ათვისება, კარგად არ უყალიბდებათ აღმასრულებელი, ანუ მარეგულირებელი ფუნქციები. ასევე, ფსიქოლოგების მიერ განხორციელებული სხვადასხვა კვლევების მეშვეობით დადგენილია, რომ მშობლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა პირდაპირ გავლენას ახდენს შვილზე. მაგალითად, დედის დეპრესიის შემთხვევაში ბავშვებს ურთულდებათ პოზიტიური მოლოდინის ქონა და პოზიტიური განწყობის შექმნა, რაც, ასევე, აფერხებს არა მარტო ენობრივ, არამედ შემეცნებით და ინტელექტუალურ განვითარებასაც. მისი თქმით, სკოლისთვის ემოციურ-სოციალურ მზაობას ისეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, როგორც კოგნიტურ განვითარებას.

„ადრეული ინტერვენციის პროგრამაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ შემეცნებითი უნარების განვითარებისთვისაც მნიშვნელოვანია აფექტური სფეროს სტიმულირება, რადგან პატარა ბავშვი სიამოვნების პრინციპით სწავლობს. აუცილებელია ბავშვის ბაზალურ-ემოციურ რეაგირებაზე წარმოდგენა გვქონდეს და გავითვალისწინოთ. ჩვენ იქიდან უნდა დავიწყოთ ბავშვის დახმარება, რა დონეზეც არის აფექტური განვითარების მხრივ. ენისა და კომუნიკაციის განვითარების ეფექტური სტიმულირებისთვის აუცილებელია ბავშვის და მშობლის ემოციური კომუნიკაციის გაუმჯობესება. ბავშვი ენას მისთვის მნიშვნელოვან უფროსთან ურთიერთობაში სწავლობს და ამიტომ ესაჭიროება უფროსთან, ცოცხალ მეტყველებასთან აქტიური კონტაქტი. ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მხოლოდ შემეცნებით განვითარებას, არამედ ემოციური სფეროს განვითარებასაც, რაც მთლიანობაში ბავშვის ნორმალურ განვითარებას განსაზღვრავს“, – განაცხადა პროფესორმა თამარ გაგოშიძემ.

მოხსენების პროცესში პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ყურადღება გაამახვილა ბავშვის ადრეულ ემოციურ-სოციალური განვითარებისას კომპიუტერული ტექნიკის ზეგავლენის ფაქტორებზე. მისი ინფორმაციით, „იაპონელმა მეცნიერებმა ჩაატარეს კვლევა სამი ჯგუფის ბავშვებზე: 1. ბავშვები, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ ძიძასთან; 2. ბავშვები, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ მშობლებთან; 3. ბავშვები, რომლებიც დიდ დროს ატარებდნენ კომპიუტერთან. აღმოჩნდა, რომ თუ ბავშვის ენა და მეტყველება გენეტიკურად სუსტი რგოლია, 2 წლამდე ადვილად მოწყვლადია. შესაბამისად, ის ბავშვები, ვინც კომპიუტერთან მეტ დროს ატარებდა, აგვიანებდნენ მეტყველების განვითარებას და სიმპტომებით ემსგავსებოდნენ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს. კომპიუტერთან კავშირის გაწყვეტიდან სამი თვის შემდეგ კი ყველა ეს სიმპტომი უქრებოდათ“.

თამარ გაგოშიძის საჯარო ლექციას როგორც თსუ-ს, ასევე სხვა უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, პრაქტიკოსი ფსიქოლოგები და მშობლები ესწრებოდნენ. ფსიქოლოგები ხაზს უსვამენ ბავშვთა ადრეული განვითარების პროცესში მშობლების ცნობიერების ამაღლების აუცილებლობასაც. მათი განცხადებითაც, წლების მანძილზე ყველა აქცენტს აკეთებდა ენისა და მეტყველების, შემეცნების უნარების განვითარებაზე, ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ემოციურ განვითარებას, რის შედეგადაც ბავშვებს სკოლაში მისვლის შემდეგ ეწყებათ შიშები და შფოთვა, რაც ადრეულ ასაკში ემოციური განვითარებისთვის ნაკლები ყურადღების მიქცევის შედეგია.

„ქალბატონი თამარის საჯარო ლექცია, როგორც ყოველთვის, თემატურად საფუძვლიანად იყო წარმოდგენილი და შემაჯამებელი ხასიათი ჰქონდა. მნიშვნელოვანია უფრო მეტი მსგავსი ღონისძიება ჩატარდეს, რადგან ეს ემსახურება ცნობიერების ამაღლებას – თუ რა მნიშვნელობა აქვს ადრეულ ასაკში ემოციურ განვითარებას ბავშვის შემდგომი განვითარებისათვის“, – განაცხადა ნეიროფსიქოლოგმა თეონა გავაშელიშვილმა.

საჯარო ლექციების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე საუბრობენ მშობლებიც.

„საინტერესოა ასეთი სახის საჯარო ლექციები. დღევანდელ ვითარებაში მშობლებს ბავშვებთან კომუნიკაციისთვის ცოტა დრო რჩებათ, ამიტომაც ემოციური ფონი რთული სამართავია. დაღლილ მშობლებს ცოტა ურთულდებათ ბავშვებთან კონტაქტი და თამაში. ასეთი საჯარო ლექციების შემდეგ კი მშობლები უკეთ იაზრებენ თავის როლს ბავშვის განვითარების პროცესში და მიდგომას ცვლიან. ვფიქრობ, რომ საჭიროა მეტი ინფორმაციის გავრცელება და ამ კუთხით საზოგადოების ინფორმირება“, – აღნიშნა ერთ-ერთმა მშობელმა მარი დათიშვილმა.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფესორის თამარ გაგოშიძის საჯარო ლექცია ეყრდნობოდა მსოფლიოს მასშტაბით გამოქვეყნებულ უახლეს კვლევებსა და თავად მომხსენებლის პირად გამოცდილებას. საჯარო ლექციის ვიდეო ჩანაწერი უკვე განთავსებულია სოციალურ ქსელებში. თსუ-ს, საქართველოს ბავშვთა ადრეული ინტერვენციის კოალიციის ორგანიზებითა და ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში საჯარო ლექციათა ციკლი გრძელდება. ფსიქოლოგები ბავშვის ადრეული სოციალურ-ემოციური განვითარების მნიშვნელობაზე მოხსენებებს საქართველოში არსებულ სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც წარმოადგენენ.

„მოხუცი ჯამბაზები“ თსუ-ს სცენაზე

ნატო ობოლაძე

რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „მოხუცი ჯამბაზები“ 29 მაისს თსუ-ს სააქტო დარბაზის სცენაზე დაიდგა. წარმოდგენამ სრული აწშლაგით ჩაიარა. თსუ-ში სპექტაკლი თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტისა და საქართველოს კულტურის პალატის ორგანიზებით დაიდგა. დასწრება თავისუფალი გახლდათ.

„არ მჯერა, რომ ამ სპექტაკლს დავესწარი. დიდი მადლობა, ძალიან ვისიამოვნე“; „სულ რომ არაფერი გააკეთოთ, მხოლოდ ამ სპექტაკლის ჩვენებით მოიგეთ ჩვენი გული“, – სტუდენტების მადლიერების გამომხატველი მსგავსი კომენტარები სოციალურ ქსელში მეორე დღესვე გავრცელდა.

„მოხუცი ჯამბაზები“ რუსთაველის თეატრის სცენაზე რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ რონალდ ჰარვუდის პიესის „კვარტეტის“ მიხედვით დადგა, რომელიც 1999 წელს დაწერა. რონალდ ჰარვუდი ოსკარის მფლობელიც გახლავთ, რომელიც მას ფილმ „პიანისტის“ სცენარისთვის 2003 წელს გადაეცა.

სპექტაკლში „მოხუცი ჯამბაზები“ მოქმედება ხანშიშესულ ხელოვანთა პანსიონატში ვითარდება. რონალდ ჰარვუდის პიესაში მხოლოდ 4 მოქმედი პერსონაჟია, მაგრამ გოჩა კაპანაძემ კიდევ რამდენიმე გმირი დაამატა: მთავარ, ქრისტეფორეს როლს მსახიობი კახი კავსაძე ასრულებს, შალვას როლში ჯემალ ღაღანიძეა, ლოლას როლში – ზაირა ლებანიძე, ნინას როლში – მარინა ჯანაშია, ალექსანდრას როლს კი მარინა კახიანი ასრულებს.

რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ „მოხუცი ჯამბაზები“ პირველად რუსთაველის თეატრის სცენაზე 2008 წელს დადგა.

ნინო ქათამაძე და ჯგუფი „INSIGHT“ თსუ-ში

ნატო ობოლაძე

ნინო ქათამაძემ და ჯგუფმა „Insight“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში სოლო კონცერტი გამართა. ღონისძიება თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით მოეწყო. მომღერალი სტუდენტებთან საათნახევრიანი სრული პროგრამით წარსდგა. საღამომ სრული აწშლაგით ჩაიარა. კონცერტის დასრულების შემდეგ ნინო ქათამაძემ მსმენელს მადლობა Facebook-ის საკუთარ გვერდზეც გადაუხადა: „უღრმეს მადლობას ვუხდით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შესანიშნავი საღამოსთვის და დიდი სიყვარულისთვის“.

თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა ნინო ქათამაძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვევას დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ცდილობდა. „ერთი წელი ვცდილობდით მის დათანხმებას, არ მოვეშვით და ახლა გამონახა დრო, რათა თსუ-ს სტუდენტებმა ისიამოვნონ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მთლიანად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რადგან ყველა ჩართული იყო ამ საღამოს ორგანიზებაში“, – აღნიშნა თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის წევრმა, ღონისძიების ორგანიზატორმა შოთა კეკელაშვილმა.

ნინო ქათამაძისა და ჯგუფ „Insight“-ის კონცერტი თსუ-ში 9 ივნისს გაიმართა. როგორც საღამოს დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი, მომღერალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოლო კონცერტს ყოველ წელს გამართავს.

აღმოაჩინე „საკუთარი ვაჟა“ და მიიღე მონაწილეობა ჯინო-ფესტივალში

შურთხია ბეროშვილი

„ვაჟა-ფშაველა უკვდავია, მაგრამ საინტერესოა, თუ როგორ აფასებს დღეს ჩვენი ახალგაზრდობა მის შემოქმედებას და იმ ღირებულებებს, რომელსაც იგი ქადაგებდა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სტუდენტური კინო-ფესტივალი – „ჩემი ვაჟა“, რომელიც ვაჟა-ფშაველას ფონდის, საქართველოს კულტურის პალატის და თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის ერთობლივი პროექტის – „გაუფრთხილდი საქართველოს ისტორიას“ – ფარგლებში განხორციელდება“, – განაცხადა ვაჟა-ფშაველას ფონდის ხელმძღვანელმა და მწერლის შთამომავალმა ლელა რაზიკაშვილმა უნივერსიტეტში, ვაჟა-ფშაველას კაბინეტში გამართულ პროექტის პრეზენტაციაზე.

ლელა რაზიკაშვილმა სტუდენტებს პროექტის – „ჩემი ვაჟა“ – კონკურსის პირობები გააცნო. მისი ინფორმაციით, კონკურსი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, დაახლოებით, სექტემბერში დამთავრდება. სტუდენტების მიერ გადაღებული ფილმები სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე განთავსდება, კომპეტენტური ჟიურის მიერ და ხმის მიცემის საფუძველზე გამოვლენილი გამარჯვებულები კი სოლიდური ფულადი პრემიებით დაჯილდოვდებიან. „ალბათ სიმბოლურია, რომ ჩვენ იმ ოთახში შევიკრიბეთ, საიდანაც ვაჟა-ფშაველა მარადისობას შეუერთდა და სამუდამოდ „დარჩა“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც მასწავლებელი და მუდმივი შთაგონების წყარო. მნიშვნელოვანია, რომ პროექტში მონაწილეობა საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს შეუძლია. პროექტის მიზანი ისიც არის, რომ ახალგაზრდებმა უკეთესად გაიცნონ მწერლის შემოქმედება, მოძებნონ გასაღები და „საკუთარი ვაჟა“ აღმოაჩინონ“, – მიმართა ლელა რაზიკაშვილმა სტუდენტებს.

პროექტის პრეზენტაციას სხვადასხვა სასწავლებლის სტუდენტებიც დაესწრნენ. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის თათა თავდიშვილის თქმით, ეს პროექტი განსაკუთრებით საინტერესო იქნება მომავალი რეჟისორებისთვის და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით დაინტერესებული სხვა ადამიანებისთვის, რომლებსაც საშუალება ექნებათ თავიანთი ემოცია ფირზე აღბეჭდონ და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება შეძლონ. „ვაჟა-ფშაველა ჩემი თაობისთვისაც საყვარელი და საინტერესო მწერალია. მისი შემოქმედება ამოუწურავ მასალას იძლევა, რათა საინტერესო ფილმები გადაიღონ მოყვარულმა თუ პროფესიონალმა სტუდენტებმა. როგორც ვიცი, ამ პროექტით უკვე ბევრი ახალგაზრდა დაინტერესდა“, – აღნიშნა თათა თავდიშვილმა.

თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელის კახა ბალახაძის თქმით, პროექტი – „ჩემი ვაჟა“ – თსუ-ს სტუდენტებს საშუალებას მისცემს – ზაფხულის ცხელი დღეები საინტერესოდ და შინაარსიანად გაატარონ. „ჩვენ საქართველოს კულტურის პალატასთან ერთად არაერთ საინტერესო პროექტს ვახორციელებთ, სტუდენტური კინო-ფესტივალიც ამის დასტურია. თსუ-ს სტუდენტური თვითმართველობის კულტურის დეპარტამენტი მაქსიმალურად შეუწყობს ხელს სტუდენტებს თავიანთი ჩანაფიქრის განხორციელებაში“, – განაცხადა კახა ბალახაძემ.

გურამ დოჩანაშვილი: ჩემთვის დიდი ბედნიერებაა ასეთი მხარდაჭერა ჩემი მკითხველისგან

შურთხია ბეროშვილი

„ვინც უნდა შეგხვდეთ ცხოვრების მანძილზე, ყველას გადაუხადეთ მადლობა თქვენს ბედში მონაწილეობისთვის... ერთი ადამიანიც კი არ ხვდება მეორეს ცხოვრებაში შემთხვევით, მადლობა ყველას! ზოგს – ზღაპრებისთვის და ზოგს – ბიძგისთვის“, – ეს სიტყვები თანამედროვე ქართველ კლასიკოსად აღიარებულ მწერალს გურამ დოჩანაშვილს ეკუთვნის, რომლის შემოქმედების გაცნობა და მის პერსონაჟებთან შეხვედრა მკითხველისთვის ყოველთვის ხდება ის ბიძგი, რომ იმაზე უკეთესი გახდეს, ვიდრე იყო.

თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტის „ნორჩ ჰუმანიტართა სკოლის“ ორგანიზებით მწერალთან გამართულ შეხვედრას სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ, რომლებმაც გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებაზე მრავალი საინტერესო მოსაზრება მოისმინეს.

თსუ-ს რექტორმა გიორგი შარვაშიძემ გურამ დოჩანაშვილს უნივერსიტეტის მედალი გადასცა.

მწერლის შემოქმედებაზე და მის მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა: „გურამ დოჩანაშვილმა შექმნა სამყარო, რომელსაც გურამ დოჩანაშვილის სამყარო ჰქვია. იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემოქმედი და მსოფლიო მნიშვნელობის კლასიკოსია. მისი მრავალი დამსახურებიდან საგანგებოდ მინდა გამოვყო ის ფაქტი, რომ ბატონმა გურამმა სოცრეალიზმის პერიოდში გამოაფხიზლა კომუნისტური რეჟიმის მიერ მიძინებული ქართული ლიტერატურა და ახალი სული შთაბერა მას. არ არსებობს ემოცია, რომელიც მწერალმა, როგორც ადამიანმა, თავისი ცხოვრების განმავლობაში არ განიცადა და რომელიც მან თავის ნაწარმოებებში არ აღწერა, შემდეგ კი ჩვენც გვაზიარა. თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გურამ დოჩანაშვილი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო კეთილშობილი მწერალია, რომელიც ქადაგებს სიკეთეს და რომლის ნაწარმოებებში ბოროტებას ყოველთვის კეთილი საქმე და იუმორი ამარცხებს.

გურამ დოჩანაშვილის ნეოლოგიზმები ხალხის მეტყველებაში გადავიდა: „ჩამოალაბორანტეს“, „გააუფროსმეცნიერთანამშრომლეს“ და სხვა – ამ სიტყვებს უკვე ისე ხშირად ვიყენებთ, რომ ბუნებრივად გვეჩვენება. ჩვენი ვალია, არა მარტო ღრმად შევისწავლოთ მისი შემოქმედება, არა მარტო გავითავისოთ ის, არამედ მწერლის ფენომენი მსოფლიოსაც გავაცნოთ, ვთარგმნოთ მისი ნაწარმოებები... მისი შემოქმედებით ყველას დავუმტკიცებთ, რომ ქართული კულტურა მხოლოდ ძველ საუკუნეებში არ შექმნილა, რომ ქართული გენი და ენერგია არ დაშრეტილა და საქართველოში დღესაც იქმნება შედევრები. ამისთვის მადლობა გურამ დოჩანაშვილს!“ – ასე მიესალმა ნანა გაფრინდაშვილი მწერალს.

გურამ დოჩანაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა და მიმართა მას: „დღეს განსაკუთრებული დღეა უნივერსიტეტში. სტუდენტებით, მოსწავლეებითა და პროფესორებით სავსე დარბაზიც მოწმობს იმაზე, რომ გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების მიმართ ინტერესი ძალიან დიდია. მინდა, მადლობა გადავუხადო მწერალს, რადგან მან თავისი შემოქმედებით სრულიად სხვა სამყაროს გვაზიარა. ქართველმა ხალხმა უნდა იამაყოს იმ ფაქტით, რომ ჩვენ დღეს ცოცხალი კლასიკოსი გვყავს, რომელიც ტოლს არ უდებს მსოფლიო კლასიკოსებს. შესაძლოა, ახალგაზრდებმა კარგად არც იციან, რომ გურამ დოჩანაშვილი არის ერთ-ერთი ის პიროვნება, რომელმაც შექმნა დღევანდელი საქართველო. იგი აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ მოძრაობაში და თანამოაზრეებთან ერთად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. მინდა, მთელი უნივერსიტეტის სახელით დიდი მადლობა გადაგიხადოთ ყველაფრისთვის და, ნიშნად ამ მადლიერებისა, უნივერსიტეტის მედლით დაგაჯილდოვოთ. იმედი გვაქვს, რომ მომავალ წელს თქვენ იქნებით ერთ-ერთი გამორჩეული და საპატიო სტუმარი უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეზე“.

თსუ-ს პროფესორის თამარ პაიჭაძის ინფორმაციით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველი გაზაფხულის სემესტრში სტუდენტები გადიან „თანამედროვე ქართული ლიტერატურის“ კურსს და, სხვა მწერლებთან ერთად, ისინი გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებებსაც სწავლობენ. „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდობამ იცოდეს, თუ ვის მიჰყავს თანამედროვე ლიტერატურული პროცესი, ვინ არიან თანამედროვე კლასიკოსები. ჩვენმა სტუდენტებმა კარგად იციან თქვენ მიერ განვლილი რთული გზის შესახებ. სწორედ თქვენი ნაწარმოებებიდან ვისწავლეთ, როგორ უნდა გვიყვარდეს ადამიანები, სამშობლო და თავისუფლება. სწორედ თქვენი ნაწარმოებებიდან ვისწავლეთ, რომ არსებობს ორი გზა: – მონობასა და თავისუფლებას შორის. მონობაც ფინალია და თავისუფლებაც, ამიტომ ამ გზის გავლა სჭირდება თანამედროვე პიროვნებას. სწორედ ამ თემატიკას ეხება გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებები, რომლებიც, გარკვეულწილად, იმ დიდი პროცესების გაგრძელებაა, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში მიმდინარეობს. დღევანდელი ღონისძიება მნიშვნელოვანია, რადგან ცოცხალ კლასიკოსთან შეხვედრა დიდი სტიმულია მკითხველისათვის“, – განაცხადა თამარ პაიჭაძემ.

ღონისძიების ორგანიზატორის, თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტის ხელმძღვანელის მარინე ლომოურის თქმით, „სკოლის მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია ისეთ დიდ მწერალთან შეხვედრა, როგორიც გურამ დოჩანაშვილია. დარწმუნებული ვარ, ეს დღე დაუვიწყარი იქნება თითოეული მათგანისთვის“, – აღნიშნა მარინე ლომოურმა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ფრაგმენტები გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოების მიხედვით შექმნილი სატელევიზიო სპექტაკლიდან „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, რომელიც თამარ გოგუაძემ მოამზადა. შეხვედრაზე მწერალს „სიურპრიზიც“ ელოდა. არქიტექტორმა რომან ნაფეტვარიძემ საზოგადოება „ივერიის“ სახელით მწერალს საჩუქრად მახათას მთაზე მშენებარე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარზე აღმართული ჯვრის ზუსტი ასლი გადასცა.

შეხვედრის ბოლოს გურამ დოჩანაშვილმა შეკრებილ საზოგადოებას მიმართა: „ჩემთვის დიდი ბედნიერებაა ასეთი მხარდაჭერა ჩემი მკითხველისგან. ესაა უნივერსიტეტი, სადაც დიდი ივანე ჯავახიშვილი ქუდმოხდილი შემოდიოდა... კეთილგანწყობა, სიყვარული და თანადგომა, რაც დღეს მივიღე, დიდ ბედნიერებასთან ერთად, დიდ პასუხისმგებლობას მანიჭებს. ღმერთმა მომცეს ძალა, რომ გავამართლო ეს დიდი სიყვარული“, – აღნიშნა მწერალმა.

უნივერსიტეტთან შეუთანხმებელი ანტიდასავლური თავყრილობა და უნივერსიტეტის პოზიცია

30 მაისს საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საზოგადოების გარკვეული ნაწილის შეხვედრა, რომლის თემაც იყო „დასავლური საფრთხეები საქართველოსთვის“.

როგორც საინფორმაციო საშუალებები წერდნენ, შეხვედრაში მონაწილეობდა თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, ჯაშუშობაში ბრალდებული და პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პოლკოვნიკი ტრისტან წითელაშვილი.

მედიით გავრცელებულ ვიდეოში, რომელიც ამ შეხვედრას ასახავს, წითელაშვილი აცხადებს, რომ „საქართველოს ხელისუფლება ამერიკის საელჩოს და ამერიკის ელჩის მძევალია“. მისი თქმით, ამერიკის ელჩმა იმ დონეზე ითავხედა, რომ პანკისის ხეობაში ავიდა და სირიიდან დაბრუნებულ ისლამური სახელმწიფოს მებრძოლ ტერორისტებს შეხვდა. რისთვის? იმისთვის, რომ კერებს ქმნის იქ. დასავლეთი ებრძვის საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მზადაა საქართველოსთან ისაუბროს ოსეთის და აფხაზეთის საკითხებზე“.

როგორც მედიაში გავრცელებული ინფორმაციებიდან ცნობილი გახდა, აღნიშნული შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ანტიდასავლურ სამოქმედო გეგმაზე (შეხვედრის ვიდეოჩანაწერი ამ დროისათვის უკვე აღარ იძებნება).

დენიზა სუმბაძე

მიხეილ ჩხენკელი

წითელაშვილის ბრალდებას იმავე დღეს გამოეხმაურა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი იან კელი, რომელმაც მედიასთან საუბარში აღნიშნა: „მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს, ამ უსაფუძვლო ბრალდებებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას გავცე პასუხი. პანკისის ხეობაში ვიყავი ერთხელ და ისიც საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან ერთად. ალბათ, სულ რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში ვიმყოფებოდი იქ. მიმაჩნია, რომ საქმიანობის გამჭვირვალობა და საჯაროობა არის უმნიშვნელოვანესი. ჩემი საქმიანობა არის გამჭვირვალე, საჯარო და გაშუქებული. მე მხარს ვუჭერ საქართველოს რეფორმების პროცესს, საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს და საქართველოს განვითარებას. ზოგადად, ჩემი მთავრობა ებრძვის ტერორიზმისა და ექსტრემიზმის ნებისმიერ გამოვლინებას“.

შეხვედრის მონაწილეებს და მათ მიერ განხილულ თემატიკას გაემიჯნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აღნიშნულ თემაზე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია: „ქალბატონმა დენიზა სუმბაძემ, რომელიც წარსულში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა, თხოვნით მიმართა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციას სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების მიზნით აუდიტორიის გამოყოფის თაობაზე. თუმცა განაცხადში აბსოლუტურად სხვა თემატიკა იყო მითითებული. მან თვითნებურად ჩაატარა ღონისძიება, რომელიც გასცდა წინასწარ გაცხადებულ თემატიკას. აღნიშნული შეხვედრა არ არის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული და, შესაბამისად, ფაკულტეტის ადმინისტრაცია ვერ აიღებს პასუხისმგებლობას იმ განცხადებებზე, რაც გავრცელებულ ინფორმაციაშია მითითებული“.

მედიასთან სპეციალური განცხადება გააკეთა თსუ-ს პროორექტორმა მიხეილ ჩხენკელმაც: „უნივერსიტეტი ინფორმირებული არ იყო. უნივერსიტეტის ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა შეცდომაში შეიყვანა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ამ შეხვედრასთან დაკავშირებით მათ თემა შეცვალეს, შესაბამისად, მოატყუეს ფაკულტეტი და უნივერსიტეტი. ჩვენი უნივერსიტეტის არც ერთი სტუდენტი, პროფესორი, თანამშრომელი ამ შეხვედრას არ ესწრებოდა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კატეგორიულად ემიჯნება იმ აბსურდულ განცხადებებს, რაც ე.წ. სამეცნიერო შეკრებაზე გაკეთდა. ჩვენი უნივერსიტეტი იყო, არის და იქნება ევროპული ღირებულებების ერთგული“, – განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-8 საერთაშორისო კონფერენცია ილია ვეკუას დაბადებიდან 110 წლისთავს მიეძღვნება



მათემატიკის საგნობრივი კლასიფიკაციის დარგების, მიმართულებების და ქვემიმართულების დასახელებებში მსოფლიოს გამოჩენილი მათემატიკოსებისა და მექანიკოსების გვარებიდან მხოლოდ ერთეულებს შეხვდებით, მათ შორისაა ილია ვეკუა. საქართველოდან იგი ერთადერთია. 2017 წლის 23 აპრილს შესრულდა მისი დაბადებიდან 110 წელი.

ილია ვეკუას 110 წლისთავს მიეძღვნა მის მიერ დაარსებული ინსტიტუტის მის მიერვე დაარსებული სემინარის XXXI საერთაშორისო გაფართოებული სხდომები, რომელიც ჩატარდა 19-21 აპრილს. მის მუშაობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ მეცნიერები ეგვიპტიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან. დასკვნით სხდომაზე ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის პროფესორმა ა. კოჟანოვმა დამსწრეთ გააცნო ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მ. ფედორუკის ადრესი. ამავე სხდომაზე დაჯილდოვდნენ ინსტიტუტის ბაზაზე მოქმედი მათემატიკასა და ინფორმატიკაში თბილისის საერთაშორისო ცენტრის (TICMI) პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილე დოქტორანტები და მაგისტრანტები პრემიით და სიგელებით.

საიუბილეო თარიღს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც ჩატარდა 24 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, უმაღლესი საბჭოს და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობით.

ორივე შეკრების მონაწილეებმა პატივი მიაგეს ილია ვეკუას ხსოვნას მთაწმინდის პანთეონში.

27-29 სექტემბერს, მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალ 2017-ის პროგრამის ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ჩატარდება საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-8 საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ასევე იუბილეს მიეძღვნება.

* * *

ილია ვეკუა 1907 წელს დაიბადა საქართველოს თვალწარმტაც კუთხეში, აფხაზეთში, სამურზაყანოს სოფელ შეშელეთში. დაწყებითი განათლება მიიღო შეშელეთსა და გალში, საშუალო სკოლა ექსტერნის წესით დაამთავრა საქართველოს მეორე თვალწარმტაც კუთხეში, სამეგრელოში, ზუგდიდში, რის შემდეგაც ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ასპირანტურის კურსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტის, ქართული მათემატიკური სკოლის ლიდერის, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის რეკომენდაციით, სანქტ-პეტერბურგში გაიარა გამოჩენილი რუსი მეცნიერის, აკადემიკოს ალექსეი ნიკოლოზის ძე კრილოვის ხელმძღვანელობით; 29 წლისამ დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 32 წლისამ – სადოქტორო დისერტაცია; 39 წლისა გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1958 წელს კი საკავშირო აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

მისი გამოკვლევები, როგორც წესი, სათავეს იღებდა მექანიკის ამოცანებიდან, გრძელდებოდა ფუნდამენტური გამოკვლევებით კომპლექსურ ანალიზში, სინგულარულ ინტეგრალურ და კერძოწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიებში და გვირგვინდებოდა გამოყენებით მექანიკაში. ავტორიტეტულ ჟურნალებში ყველა ამ მიმართულებით გამოქვეყნებული სტატიები ჯამდებოდა მონოგრაფიებით, რომლებიც რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ჩინურ და სხვა ენებზე ქვეყნდებოდა. ყველა მისი მონოგრაფია სხვადასხვა სახელობითი სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. მათემატიკოსების დავით ჰილბერტის და რიხარდ კურანტის ცნობილ ორტომეულში „მათემატიკური ფიზიკის ამოცანების ამოხსნის მეთოდები“ გამოთქმული იყო სკეპტიკური მოსაზრება კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებების ამონახსნების ზოგადი წარმოდგენების სარგებლიანობის თაობაზე. როგორც მოგვიანებით კურანტი აღნიშნავდა, მათი ეს მოსაზრება მათთვის მოულოდნელად სრულად გააქარწყლა ამონახსნების ზოგადი კომპლექსური წარმოდგენების გამოყენებით ელიფსური განტოლებებისთვის სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევის ილია ვეკუას მიერ შემუშავებულმა ახალმა მეთოდებმა, კერძოდ, ჰოლომორფული ფუნქციების მისეულმა წარმოდგენებმა ნამდვილი სიმკვრივის მქონე კოშის ტიპის ინტეგრალების სახით.

ილია ვეკუამ და გამოჩენილმა ამერიკელმა მეცნიერმა ლიპმან ბერსმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შექმნეს განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორია. ლ. ბერსი წერდა: „სიბრტყეზე ელიფსურ კერძოწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში ვეკუა ორ განსხვავებულ გზას მიყვებოდა. ერთი იყო სტეფან ბერგმანის ნაშრომის მსგავსი, რომელსაც მივყავართ ცხად ფორმულებამდე ნამდვილი ანალიზურ კოეფიციენტებიანი ელიფსური განტოლებების ამონახსნების კომპლექსური ცვლადის ნებისმიერი ჰოლომორფული ფუნქციების საშუალებით წარმოდგენებამდე. ვეკუამ გამოიყენა თავისი ფორმულები ძალიან ზოგადი სასაზღვრო ამოცანებისათვის და ამ მხრივ მიიღო შედეგი, რომელიც დღეს აღიარებულია, როგორც ატია-ზინგერის ინდექსის თეორემის წინამორბედი.

ვეკუას გამოკვლევების სხვა მთავარი მიმართულება დაკავშირებულია ორი პირველი რიგის განტოლებისაგან შემდგარ სისტემის, განხილულის როგორც განზოგადებული კოში-რიმანის განტოლებები, თვისებებთან. ამჯერად არ მოითხოვება ნამდვილი კოეფიციენტების ანალიზურობა და აღმოჩნდა, რომ თვისებები, რაც განხილვის საგანია, კარგად შეიძლება იქნას გაგებული განზოგადებული კომპლექსური ფუნქციების თეორიის თვალსაზრისით. მაშინ როდესაც ვეკუას „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“ ძირითადად იგივეა, რაც ჩემი „ფსევდოანალიზური ფუნქციები“, ჩვენი მოტივაცია და მიზნები რამდენადმე განსხვავებული იყო. კერძოდ, ვეკუამ თავისი თეორია გამოიყენა დრეკადი გარსებისათვის და ზედაპირების უსასრულოდ მცირე დეფორმაციებისათვის სამგანზომილებიან სივრცეში“.

აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი თავის ერთ-ერთ მონოგრაფიაში ხაზგასმით აღნიშნავდა ილია ვეკუას წამყვან როლს სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სრული თეორიის შექმნაში. თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის ბოლო პერიოდი ილია ვეკუამ გარსთა მათემატიკური თეორიის ახალი ვარიანტების შექმნას

გვ. 13

ჩაის ცერემონიის ხელოვნება და ჰარუე კაიტანის რიტუალი

ნატო ობოლაძე

იაპონური „ჩაის ცერემონია“ – სადო მოეწყო თსუ-ს იაპონური ენისა და კულტურის ცენტრში. საქართველოში იაპონიის ელჩის მეუღლემ ჰარუე კაიტანიმ სადო ცენტრის თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის გამართა. „ჩაის ცერემონია“ ძენ ბუდიზმის განუყოფელი ნაწილია, მას ატარებს ოსტატი – სპეციალურ ჭურჭელში ამზადებს ჩაის და სტუმრებს მასპინძლობს. ცერემონიის დროს სრული სიჩუმეა, აკრძალულია საუბარი ფულზე, ვაჭრობასა და ავადმყოფობაზე. მიზანი სულიერი სიმშვიდის მოპოვებაა, რაც ჩაის მომზადების ოსტატზე ბევრად არის დამოკიდებული.

„ცერემონიას მშვიდობის, ჰარმონიის, პატივისცემის, სიწმინდის პრინციპებით ვატარებთ. ეს გახლავთ ერთგვარი სტუმარ-მასპინძლობა, იაპონურად ეწოდება – ომოტენაში. „ჩაის ცერემონიის“ ძირითადი დატვირთვა არის ის, რომ შენ ესაუბრები უფალს, უზენაესს, აწყნარებ გონებას, გულს და შემდეგ მშვიდად იწყებ დიალოგს თანამოსაუბრესთან.

იაპონიაში ჩაი შემოვიდა ჩინეთიდან, თავიდან მას ბერები იყენებდნენ, როგორც წამალს, შემდეგ კი ცალკე ფენომენად ჩამოყალიბდა და ახლა უკვე „ჩაის ცერემონია“ შეგვიძლია განვიხილოთ – როგორც იაპონური ფენომენი, რადგან გავრცელდა იაპონიაში“, – განმარტა ჰარუე კაიტანიმ.

იაპონური ჩაის ცერემონიის ჩატარების ხელოვნების დასაუფლებლად საკმაოდ დიდი დროა საჭირო: ძირითადი პრინციპების შესასწავლად – 2 წელი, დასახელოვნებლად კი – 10 წელი.

„საქართველოში იაპონიის ელჩის მეუღლემ ქალბატონმა კაიტანიმ გამოხატა კეთილი ნება, რომ ჩვენთვის „ჩაის ცერემონიის“ ეგზოტიკური რიტუალი ეჩვენებინა. ჩაი იაპონელებმა ჩინეთიდან ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში შეიტანეს და შემდეგ „ჩაის ცერემონია“ ავიდა ხელოვნების რანგში. ეს უკავშირდება ძენ ბუდიზმს, რომელიც იაპონიაში 12 საუკუნიდან განვითარდა. ჩაი, რომელსაც ამ დროს სვამენ, ადამიანს მედიტაციაში ეხმარება. სასმელი შეიცავს ვიტამინებს, რომლებიც დადებითაც მოქმედებს ორგანიზმზე. ჩაის სმის განსაკუთრებული ჭურჭელი არსებობს. სახელური სასმისს არ უნდა ჰქონდეს, რათა ხელის შეხებით უფრო შეიგრძნოს სითბო და დადებითი აურა“, – აღნიშნა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შორეული აღმოსავლეთის რეგიონთმცოდნეობის მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნანა გელაშვილმა.

„ჩაის ცერემონიის“ დასრულების შემდეგ საქართველოში იაპონიის ელჩის მეუღლე სტუდენტებსა და დამსწრე პროფესორებს იაპონური ტკბილეულით გაუმასპინძლდა.

იაპონური ჩაის ცერემონია იაპონური ენისა და კულტურის ცენტრში 16 ივნისს მოეწყო. ცენტრი 2010 წლიდან მუშაობს და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით იაპონიის მთავრობის გრანტის ფარგლებში მიმდინარეობს. სტუდენტებს, რომლებიც იაპონურ ენასა და კულტურას სწავლობენ, საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ იაპონიის საელჩოს მიერ ორგანიზებულ ტესტირებებში. საუკეთესო შედეგების მქონე მონაწილეები სასწავლებლად ტოკიოს უნივერსიტეტში გაიგზავნებიან იაპონური მხარის სრული დაფინანსებით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔ-8 ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲕᲔᲙᲣᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 110 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ

მე-12 გვ-დან

მიუძღვნა; შესაბამის მონოგრაფიაზე მუშაობა მძიმე სენთან ბრძოლაში დაამთავრა და აღესრულა 1977 წლის 2 დეკემბერს. მონოგრაფია რუსულად 1982 წელს გამოსცა გამომცემლობა „ნაუკა“-მ, ინგლისურად – 1985 წელს გამომცემლობა „პიტმან“-მა, ხოლო ქართულად – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ 2007 წელს. ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობაში გამოჩენილი იტალიელი მეცნიერი გაეტანო ფიკერა წერდა: „დღეისათვის არსებობს გარსთა თეორიის მრავალი გააზრება. თუმცა წარმოდგენილი ვეკუასეული გააზრება განსხვავებული ინტერესის მქონეა გამოყენებული ანალიზური მიდგომის გამო, მიდგომისა, რომელიც ასახავს დრეკადობის პრობლემების განხილვის თბილისური სკოლის ფილოსოფიას“.

ილია ვეკუა იყო საუნივერსიტეტო განათლების დიდი ორგანიზატორი, რაც მან სხვადასხვა პერიოდში გამოავლინა, როგორც თსუ-ს პროფესორმა, პრორექტორმა და რექტორმა, მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა, ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა დამაარსებელმა და პირველმა რექტორმა.

აქტიურ, ღრმა და პროდუქტიულ სამეცნიერო მუშაობასთან ერთად

ილია ვეკუა და ნიკოლოზ მუსხელიშვილი

ილია ვეკუა იყო მეცნიერების დიდი ორგანიზატორი, რასაც იგი მთელი მისი მოღვაწეობის პერიოდში ავლენდა, განსაკუთრებით 1972-1977 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად ყოფნის დროს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1966-1977 წლებში კიბერნეტიკის ფაკულტეტისა და გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ჩამოყალიბება-განვითარების პროცესში. მას ეამაყებოდა, რომ ინსტიტუტს იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის სამხრეთში უმძლავრესი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების ყველაზე დიდი პარკი ჰქონდა, რამაც ხელი შეუწყო ქართველ მათემატიკოსთა, ფიზიკოსთა, ქიმიკოსთა, ეკონომისტთა და სხვათა გამოკვლევებში კომპიუტერული მეთოდების გამოყენებას. ილია ვეკუას სამეცნიერო და პედაგოგიურ პრინციპებზე დაფუძნებულ ამ ინსტიტუტში იმთავითვე ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდნენ ინსტიტუტის მკვლევარები, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. ეს პრინციპები ინსტიტუტმა აქამდე შეინარჩუნა, რაც სრულად ეხმიანება განათლებისა და სამეცნიერო კვლევის ინტეგრაციის დღეს აქტიურად მიმდინარე პროცესს. ილია ვეკუა იყო თეორიულ და გამოყენებით მექანიკაში საერთაშორისო კავშირის გენერალური ასამბლეის წევრი, მრავალი, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო შეკრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ან წევრი, პლენარული და დაკვეთილი მოხსენებებით გამოდიოდა მათემატიკოსთა და მექანიკოსთა მსოფლიო კონგრესებზე.

ყველგან და ყველა სფეროში, სადაც მოღვაწეობდა, ილია ვეკუამ წარუშლელი კვალი დატოვა. უკვდავია მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელსაც დღესაც ავითარებენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მისი მოწაფეები, რომელთა რიცხვი 30-ზე მეტია, და მრავალრიცხოვანი მიმდევრები.

გიორგი ჯაიანი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის
გამოყენებითი მათემატიკის
ინსტიტუტის დირექტორი,
პროფესორი, ევროპის
მეცნიერებათა აკადემიის წევრი

„ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ“

თენგიზ კიკაჩეიშვილის გარდაცვალებამ მის უამრავ სტუდენტს გული უზომოდ ატკინა და ეს არც არის მოულოდნელი და გაუგებარი... და თუკი ამოდენა სინანულს გამოხატავენ მისი ნამოწაფრები, ეს მხოლოდ იმ სევდის ზეიმია, რაც გარდაცლილის ამქვეყნიურ მუდმივ ჩრდილს კვლავაც კვებავს და ალამაზებს...

სტუდენტებმა სოციალურ ქსელში შექმნეს გვერდი სახელწოდებით - „თენგიზ კიკაჩეიშვილის შემოქმედება“. „გვერდი იქმნება მათთვის, ვის სულშიც ბატონმა თენგიზ კიკაჩეიშვილმა სიკეთის მარცვალი დატოვა; ვინც მისი ერთხელ ნახვის შემდეგაც კი მიხვდა, რომ ცოცხალი სიკეთე იხილა და კიდევ მათთვის, ვისი ცხოვრებაც შეცვალა. ეს გვერდი მათთვისაცაა, ვინც არ იცნობდა... შეკვეცდებით მისი შემოქმედების გაცნობით მიგახვედროთ – თუ როგორი ადამიანი იყო. გვინდა, რომ ამ გვერდის შექმნაში დაგვეხმაროთ და გამოგვიგზავნოთ სურათები, ჩანაწერები, მოგონებები და ყველა წვრილმანი, რაც ბატონ თენგიზს ეხება... ჩვენ მისი სტუდენტები ვართ, ისინი, ვისაც ყველაფრად გვიღირდა მასთან შეხვედრა... გვინდა, ეს გვერდი ძალიან, ძალიან კარგი გამოვიდეს და თქვენი დახმარების გარეშე ვერ შევძლებთ ამას“... ,,მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა!“ – ასეთია ამ გვერდის წამამძღვარი.



ᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲓᲔᲑᲘ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲙᲘᲙᲐᲩᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ...

შარშან თქვა ლექციაზე ერთხელ და რა უნდა მოხდეს, რომ დამავიწყდეს: „აი, თქვენ ხომ ვერ წარმოგიდგენიათ, რა უნდა მოხდეს, რომ შვილის, ღვიძლი შვილის დაკარგვაზე უარესი იყოს. ცოტა ხნის წინ ჩემი ცოლი გარდაიცვალა და პირველად იმ დღეს ვიგრძენი, რომ მარტო დავრჩი. შვილიც მყავს, შვილიშვილიც. მაინც მარტო ვარ. თქვენ ჯერ არც იცით, რა არის მარტოობა. მარტო რომ რჩები, ისეთი რაღაცების დანახვას იწყებ, რაც მთელი ცხოვრება ცხვირწინ გჭონდა, მაგრამ ვერ ხედავდი. ჩვევა მაქვს ასეთი: ფანჯარასთან ვდგები ხოლმე და, უბრალოდ, გარეთ ვიხედები. ჩემი ცოლი მოდიოდა ხოლმე, გვერდით მიდგებოდა ჩუმად. ვიდექით ასე. მისი გარდაცვალების მერე, პირველად, გაუცნობიერებლად რომ მივედი ფანჯარასთან და მივხვდი, რომ მარტო ვარ, პირველად შევამჩნიე – ჩემი სახლიდან ორი ხე ჩანს, ერთმანეთის გვერდით დგანან, თითქოს ჩახუტებულები არიან. ალბათ რამდენი წელია დგანან, მე მხოლოდ იმ დღეს დავინახე და მგონია, რომ ის ხეები ჩვენ უნდა ვიყოთ – მე და ჩემი ცოლი.

რამდენი რამის გვეშინია მთელი ცხოვრების მანძილზე, მაგრამ, ალბათ, გულის სიღრმეში ყველაზე მეტად მაინც ასეთი რეალური მარტოობა გვაშინებს. როცა ასე მარტო დარჩები, აი, მაშინ ხვდები, რომ მორჩა, ამქვეყნად აღარაფრის აღარ გეშინია“, – აი, ასეთი ადამიანი გარდაიცვალა... ბატონი თენგიზ კიკაჩეიშვილი... ამაყი ვარ, რომ მისი სტუდენტი ვიყავი და, თანაც, კარგი... ვწუხვარ, მთელი გულით.

ქეთი მოწონელიძე

ვცდილობდი, სიტყვაც არ დამეწერა... ორი დღეა ვათვალიერებ წლების განმავლობაში ნაგროვებ მის ფოტოებს, ნაწერებს, ხმოვან თუ ვიდეო ჩანაწერებს, რომელთაც პაპარაცულად ვაგროვებდი და ვხვდები, სწორედ ამ დღეებისთვის მიგროვებია... ვგულისხმობ იმ დღეებს, როცა მისი ნახვისა და ხმის გაგონების შესაძლებლობა აღარ მექნებოდა... ჰო, მე ის სტუდენტი ვიყავი, ვისაც 12 წლის წინ, მისი უნივერსიტეტის დერეფანში ჩავლისას, განცდა ჰქონდა, ქარმა დაუბერაო... ვისაც ორ ხელჯოხზე დაყრდნობილიც ახსოვს იგი და უამრავი ისტორიის გახსენება შეუძლია იმ გზიდან, სადაც წარმოუდგენელი შიში წარმოუდგენელ სიყვარულად შეიცვალა.

ლანა გრძელიშვილი

თენგიზ კიკაჩეიშვილი პირველი ლექტორი იყო, რომელმაც წიგნები და კონსპექტები არ მოგვთხოვა.

– ლესინგი ვის წაგიკითხავთო? – გვკითხა.

ვერ მივხვდი, ლესინგი სათაური იყო თუ ავტორი... მერე გავიგეთ, რატომ იკითხა... ქანდაკებასავით უნდა მოექცეთ ადამიანს, გარშემო უნდა შემოუაროთ და მხოლოდ ცალმხრივად არ აღიქვათო... ყველა ლექსი ლექსი არ არისო, ამბობდა და მაგალითად მოიყვანა ერთი ფოტოგრაფიული ნიჭის მხატვრის დახატული ყურძენი – როგორ ეგონა ჩიტს ნამდვილი და როგორ დაუპირა აკენკვა... ლიტერატურა ბუღალტერია კი არაა – ფაქტები აღწეროს, ხიდია მარადიულ ფასეულობებთანო..

– რას გვასწავლიდა?

– ოფიციალურად – ლიტერატურათმცოდნეობას, რეალურად კი – ცხოვრებისმცოდნეობას!

შვილის გარდაცვალების ამბავი რომ გაიგო, ერთიანად გათეთრდა კუშტი შავთმიანი ვაჟკაცი თურმე..

გიორგი ზვიადაძე

სულ მეშინოდა ამ დღის...

თითქმის ყოველი ლექციის დასაწყისში, როცა აგვიანდებოდა ათი-თხუთმეტი წუთიც კი,

გავიხედავდი დერეფანში და ჯოხზე დაყრდნობილს, მომავალს რომ დავინახავდი, გული ინსტიქტურად მიმშვიდდებოდა.

სულ წინ ვეჯექი, სულ ხარბად ვუსმენდი, სულ ხარბად ვგრძნობდი...

მე და დათა გადაადგილებაში რომ ვეხმარებოდით, ჩუმად, ძალიან ტკივილით ჩაილაპარაკებდა ხოლმე: – მაპატიეთ, ბავშვებო!

ერთხელ კედელს მიეყრდნო, თავისი სველი თვალები მაღლა ასწია და შემოგვახვნეშა – დავიღალე ჩემი ყოფითო... არადა მინდოდა, დაუღლელი ყოფილიყო, სამყაროს ძალიან სამართლიანად და კანონზომიერად სჯირდებოდა მისნაირები და უნდა ყოფილიყო, უნდა დარჩენილიყო...

იმასაც ვხვდებოდი, რომ დათაში თავის რატის, ომიდან ვერდაბრუნებულ კიკაჩას ხედავდა... ისეთი ანთებული თვალებით უყურებდა, ისე ვფილტრავდი ამ მზერებს, ისე დაჟინებით ჩამყავდა სულის რეალიებში!

24 საათიდან ოცდაოთხივე რომ მისთვის მესმინა, საკუთარ კანში ვეღარ მოვთავსდებოდი, იმდენად დიდი და სავსე ვიქნებოდი.

ის იყო უნივერსიტეტის დიდებული სახე, ტანჯვის და ტკივილიანობის დიდებული გამოსახულება...

წუხელ უცნაური მონდომებით გამახსენდა და დაძინების წინ ჩავფიქრდი და ვიღიმოდი...

მეღიმებოდა ჩემს მომავალ გადაწყვეტილებაზე - ისევ დავბრუნებოდი უნივერსიტეტს, ისევ

ვმჯდარიყავი მის წინ და ბავშვური ცქმუტვით, სიხარბით მეყურა – როგორ დგამდა უმოძრაო სპექტაკლებს ლექციაზე დონ კიხოტზე, ლადო ბალიაურზე, ნიკო სამადაშვილზე, ნამდვილ და ძარღვიან პოეზიაზე...

ბედნიერ და ჩემებურ დღეებს ვალაგებდი გონებაში და ჩამეძინა...

დილით, სამსახურში ყოფნისას ტასოს ტექსტს ვხსნი: „შენი ლექტორი თენგიზ კიკაჩეიშვილი გარდაიცვალაო“...

ყველა ძარღვი ჩამწყდა მკლავებიდან!!!

ადექით ახლა და გადაამრავლეთ მისი შავგარეკანიანი წიგნი!

ათასებიანი ტირაჟებით გამოუშვით და იკითხეთ თეთრი სინამდვილე პოეზიის, პროზის...

და მართლა დაიღვრება „ცხენთა კამეჩისფერი თვალებიდან სევდა“, რადგან დედა უნივერსიტეტის დედა კედლებს შორის მოხუცი ღმერთი მზესავით დაიარებოდა და დღეს უკვე აღარ არის...

ვინც იცნობს, კი იცის, რა ემოციური დამოკიდებულება მქონდა ამ მრავალწყლიანთვალება მოხუცთან!

შავგარეკანიანი წიგნი „ნაწერი რჩება უკუნისამდე“ – ერთადერთი ეგზემპლარი ჰქონდა სახლში და იმ ერთადერთში დავუტოვე ჩემი წერილი დაბრუნებისას. ალბათ ნაწერი მართლა რჩება უკუნისამდე.

ძალიან მტკივა!
ძალიან ბევრი იყო!
ნათელში იყოს,
თუმცა ნათელში ისედაც იყო!

ელენე მოდებაძე

№119/01-01 16.06.2017

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118 დადგენილების (დამტკიცებული თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №10 29.12.2014 წ.), „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 6 ივნისის №09/04 ერთობლივი ბრძანების, თსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 ივნისის №118/01-01 ბრძანების და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თამარ დოლბაიას 2017 წლის 12 ივნისის №8982/30 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით (ხოლო უნივერსიტეტის წესდებაში შესაბამისი ცვლილებების კანონით გათვალისწინებული წესით დამტკიცების შემთხვევაში – 10 წლის ვადით) შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო–პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 16 ივნისს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 17 ივლისიდან 2017 წლის 28 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2017 წლის 20 სექტემბრისა;

4. კონკურსი გამოცხადდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი:

პროფესორი – 2 საშტატო ერთეული;

პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი:

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი:

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი:

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი:

პროფესორი – 2 საშტატო ერთეული;

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი:

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

5. პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

6. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2017 წლის 17 ივლისიდან 2017 წლის 28 ივლისის ჩათვლით 9^{30}-დან 18^{00} საათამდე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. №8 (VI კორპუსი) ოთახი №203-ა

7. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

9. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი, რექტორის მოადგილე
მიხეილ ჩხენკელი

№120/01-01 16.06.2017

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტების, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118 დადგენილების (დამტკიცებული თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №10 29.12.2014 წ.), „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ თსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 6 ივნისის №09/04 ერთობლივი ბრძანების, თსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 ივნისის №118/01-01 ბრძანების და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თამარ დოლბაიას 2017 წლის 12 ივნისის № 8982/30 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 7 (შვიდი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 16 ივნისს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 17 ივლისიდან 2017 წლის 28 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2017 წლის 20 სექტემბრისა;

4. კონკურსი გამოცხადდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი:

ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი:

ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული;

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი:

ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი:

ასოცირებული პროფესორი – 3 საშტატო ერთეული;

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი:

ასოცირებული პროფესორი – 4 საშტატო ერთეული;

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი:

ასოცირებული პროფესორი – 6 საშტატო ერთეული;

5. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვა);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;

6. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2017 წლის 17 ივლისიდან 2017 წლის 28 ივლისის ჩათვლით 9^{30}-დან 18^{00} საათამდე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. №8 (VI კორპუსი) ოთახი №203-ა;

7. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

9. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი, რექტორის მოადგილე
მიხეილ ჩხენკელი

№121/01-01 16.06.2017

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ - პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118 დადგენილებით (დამტკიცებული თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №10 29.12.2014წ) დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ამავე წესის მე-3 მუხლის, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 6 ივნისის №09/04 ერთობლივი ბრძანების, თსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 ივნისის №118/01-01 ბრძანების და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თამარ დოლბაიას 2017 წლის 12 ივნისის № 8982/30 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 16 ივნისს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 17 ივლისიდან 2017 წლის 28 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ-ს აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2017 წლის 20 სექტემბრისა;

4. კონკურსი გამოცხადდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი:

ასისტენტ პროფესორი – 1 საშტატო ერთეული'

5. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამოტივაციო წერილი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;

6. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2017 წლის 17 ივლისიდან 2017 წლის 28 ივლისის ჩათვლით 9^{30}-დან 18^{00} საათამდე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. №8 (VI კორპუსი) ოთახი №203-ა;

7. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

9. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი, რექტორის მოადგილე
მიხეილ ჩხენკელი

ოფიციალური გვერდი

№122/01-01 16.06.2017

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტისა „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118 დადგენილების (დამტკიცებული თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №10 29.12.2014 წ.), „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 6 ივნისის №09/04 ერთობლივი ბრძანების, თსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 ივნისის №118/01-01 ბრძანების და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თამარ გაგოშიძის 2017 წლის 9 ივნისის № 8890/26 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით (ხოლო უნივერსიტეტის წესდებაში შესაბამისი ცვლილებების კანონით გათვალისწინებული წესით დამტკიცების შემთხვევაში - 10 წლის ვადით) შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 16 ივნისს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 17 ივლისიდან 2017 წლის 28 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ-ს აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2017 წლის 20 სექტემბრისა;

4. კონკურსი გამოცხადდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ფსიქოლოგიის დეპარტამენტი:

სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო – სამეცნიერო ინსტიტუტი:

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი:

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი:

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი:

პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

5. პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ)შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

6. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2017 წლის 17 ივლისიდან 2017 წლის 28 ივლისის ჩათვლით 9^{30}-დან 18^{00} საათამდე, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. N11, თსუ მე-3 კორპუსი, ოთახი № 108;

7. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

9. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი, რექტორის მოადგილე
მიხეილ ჩხენკელი

№123/01-01 16.06.2017

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტების, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118 დადგენილების - „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ (დამტკიცებულია თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №10 29.12.2014 წ), „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ თსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 6 ივნისის №09/04 ერთობლივი ბრძანების, თსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 ივნისის №118/01-01 ბრძანების და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თამარ გაგოშიძის 2017 წლის 9 ივნისის № 8890/26 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 7 (შვიდი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 16 ივნისს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 17 ივლისიდან 2017 წლის 28 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2017 წლის 20 სექტემბრისა;

4. კონკურსი გამოცხადდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ფსიქოლოგიის დეპარტამენტი:

სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი:

ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი:

ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული;

განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი:

ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი:

ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

5. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა /შრომის წიგნაკის ასლი და სხვა);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;

6. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2017 წლის 17 ივლისიდან 2017 წლის 28 ივლისის ჩათვლით 9^{30}-დან 18^{00} საათამდე;

7. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

9. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი, რექტორის მოადგილე
მიხეილ ჩხენკელი

№124/01-01 16.06.2017

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ - პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118 დადგენილებით (დამტკიცებული თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №10 29.12.2014 წ.) დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ამავე წესის მე-3 მუხლის, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის 2017 წლის 6 ივნისის №09/04 ერთობლივი ბრძანების, თსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 ივნისის №118/01-01 ბრძანების და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თამარ გაგოშიძის 2017 წლის 9 ივნისის № 8890/26 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 16 ივნისს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 17 ივლისიდან 2017 წლის 28 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ-ს აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2017 წლის 20 სექტემბრისა;

4. კონკურსი გამოცხადდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ფსიქოლოგიის დეპარტამენტი:

პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი:

ასისტენტ-პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

5. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამოტივაციო წერილი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;

6. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2017 წლის 17 ივლისიდან 2017 წლის 28 ივლისის ჩათვლით 9^{30}-დან 18^{00} საათამდე, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. N 11, თსუ მე-3 კორპუსი, ოთახი № 108;

7. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

9. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი, რექტორის მოადგილე
მიხეილ ჩხენკელი

კრეატიული გამოშვიდობება

ნატო ობოლაძე

ენერგიულ, მხიარულ ნოტზე დამთავრებული სტუდენტობა... ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა III კორპუსის წინ გამოსაშვები ღონისძიება გამართეს. ტრადიციული საზეიმო ცერემონია ენერგიული მუსიკისა და ფერადი ბუშტების ფონზე მიმდინარეობდა. გამოსამშვიდობებელ საღამოზე სტუდენტებმა III კორპუსის ფოიეს კედლებზე სპეციალური კონვერტები გააკრეს, სადაც ერთმანეთს სურვილების წერილები დაუტოვეს. საკუთარი ხელების ფერადი ანაბეჭდები სტუდენტებმა III კორპუსის ეზოს კედელზეც დატოვეს.

„ვისურვებდი, რომ 4 წლის განმავლობაში, რაც ვისწავლეთ თსუ-ში გამოგვეყენებინოს და წარმატებული კარიერა გვქონდეს. მადლობა უნდა გადავუხადოთ ჩვენს ძვირფას დეკანს თამარ გაგოშიძეს. ქალბატონი თამარი ყოველთვის დგას ჩვენს გვერდით, იზიარებს ჩვენს სატკივარს და როდესაც მივმართავთ თხოვნით, არ არსებობს არ დაგვეხმაროს. მაპატიეთ ჟარგონისთვის, მაგრამ თამარ გაგოშიძე ყველაზე „ჯიგარი“ ლექტორია. უდიდეს მადლობას ვუხდით „თამუნების“ ოთხად წოდებულ 107-ე აუდიტორიის თითოეულ თანამშრომელს.

ჩვენ ის თაობა ვართ, რომელსაც გვინახავს მაღლივის უფანჯრო აუდიტორიები, წელგაშეშებულებს გვივლია ლექციებზე. თუმცა, გსმენიათ, რომ „რაც არ კლავს, აძლიერებს“ და გაძლიერებულები დავბრუნდით ჩვენს უმშვენიერეს III კორპუსში, ამისთვის კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ქალბატონ თამარს. და ბოლოს, როდესაც ჩვენ ყველა დავბრუნდებით იქ, საიდანაც მოვდივართ, ეს შეიძლება იყოს სოფელი, ქალაქი და, ვისაც ბებია-ბაბუა გვყავს, შეგვეკითხებიან – „აბა რა ისწავლე ეს ოთხი წელიო?“ პასუხი ყველამ ჩვენს გულებში უნდა ვეძებოთ“, – აღნიშნა მარიამ მესხიშვილმა.

„ვამთავრებთ და გადავწყვიტეთ, რომ სიმბოლური ღონისძიება გაგვემართა. თბილი საღამო გამოგვსვლოდა, როგორც სტუდენტებისთვის, ისე ლექტორებისა და ადმინისტრაციისთვის. მთელი სტუდენტების სახელით დიდი მადლობა თსუ-ს. ბევრი რამ მოგვცა, გვასწავლა და გაგვხადა სრულფასოვანი, თვითაქტუალიზებული პიროვნებები. ვულოცავ სტუდენტებს ახალ ეტაპს ცხოვრებაში“, – გვითხრა ანა მშვილდაძემ.

ტრადიციული დეტალების გარდა, სტუდენტების 2017 წლის გამოსაშვებ საღამოს კურსდამთავრებულებმა ნომინაციებიც დაუმატეს სპეციალურად პროფესორ-მასწავლებლებისთვის. 4 წლიანი დაკვირვების შედეგები პროფესორებზე სტუდენტებმა სიგელებზე გადაიტანეს და პედაგოგებს სამახსოვროდ გადასცეს. ფაკულტეტის დეკანი თამარ გაგოშიძე „ექსტრავერსიული გენია“ გახდა, ნინო ოკრიბელაშვილი – „წლის ელეგანტურობა“, ლია ჩხიკვიშვილი – „წლის ფეისბუქპოსტის“ ავტორი, მარინა ჩიტაშვილი – „ფაკულტეტის გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“, ირინე გედევანიშვილი – „ფაკულტეტის გედი“, თამაზ გოგიჩაიშვილი

– „ფაკულტეტის მამა“, თეო ნუცუბიძე – „ფაკულტეტის კდემა“, დოქტორანტი ჟანა მოსიაშვილი – „წლის სიჩუმე“, ლაშა ხოჯანაშვილი – „წლის ქვიზი“, ია კუტალაძე – „ეიჩარი ეიჩართა შორის“, გიორგი გოროშიძე – „სტუდენტებისთვის სიხარული, სიყვარული და პოზიტივი“, მზია წერეთელი – „მის სერიოზულობა“, ბელა არუთინოვა – „მის პერფექციონისტი“, ნუცა საღარაძე – „ფაკულტეტის ოპოზიციური კეთილგანწყობილება“, ეკატერინე ფირცხალავა – „წლის „ანუ“, მაია მესტვირიშვილი – „წლის მისტიკურობა“, ლილი ხეჩუაშვილი – „წლის ოთხაზროვნება“, ია აფთარაშვილი – „საუკუნის მძაფრსიუჟეტიანი ლექტორი“, შორენა მამუკაძე – „წლის მაღალი IQ“, მარიამ მეტრეველი – „წლის ქეისი“, დალი ფარჯანაძე – „საუკუნის ფსიქოლოგი“, ნინა ლაბარტყავა – „წლის მადლობა“, ხათუნა მარწყვიშვილი – „წლის მარწყვი“, ვახტანგ ნადარეიშვილი – „წლის უსაყვარლესი ინკვიზიტორი“, სოფიო თევდორაძე – „წლის სიმშვიდე“, თეა გველესიანი – „წლის ექსკურსიამძღოლი“, თეო ლოდია – „წლის პრინციპულობა“, მანანა მელიქიშვილი – „წლის ლუქი“.

ნომინაციების გამოცხადებამ გამოსაშვები საღამო უფრო მეტად გაამხიარულა. პროფესორები ღიმილით აღნიშნავდნენ, რომ სტუდენტების დაკვირვებები ზუსტი გახლდათ – ასე ვთქვათ, მათ ზუსტად „მიზანში მოახვედრეს“.

„ძალიან მიხარია, რომ ამ ახალგარემონტებულ და კარგ გარემოში გიწევთ უნივერსიტეტის დამთავრება. მწყდება გული, რომ ვერ ვხედავ აქ ბევრ ადამიანს, რომელიც თქვენთან ერთად გაიზიარებდა უმაღლესის დამთავრების ამ ამბივალენტურ გრძნობას. მიხარია, რომ დგახართ ახალი ცხოვრების შესასვლელში და მინდა, რომ ყველაფერი ის, რაც ჩვენ გასწავლეთ თუ ვერ გასწავლეთ, ცუდად გასწავლეთ თუ კარგად გასწავლეთ, გამოიყენოთ. დღეს ყველასთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიონალიზმი, წესიერება, გულმოდგინება და ჭეშმარიტების ძიების წყურვილი. მომავალში თუ არ იმუშავებთ ფსიქოლოგებად, ერთი რამ მინდა გაგყვეთ აუცილებლად, პირველ რიგში ჩვენ ვართ ადამიანები და ადამიანობა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს ცხოვრებაში.

ცხადია თქვენ არ გაქვთ ისეთი ჯგუფები, როგორიც გვქონდა ჩვენ სტუდენტობაში. გული მწყდება, რომ ნაკლებ კომუნიკაციას ახერხებთ ერთმანეთთან. უნივერსიტეტი არ არის მარტო კრედიტი, დიპლომი, უნივერსიტეტი – ეს არის გაზიარება, გაცვლა ცოდნისა და ერთმანეთის გამოცდილების. ჩვენ ჯერ ვერაფერი მოვიფიქრეთ ისეთი, რაც თქვენს ერთმანეთთან კომუნიკაციას გააუმჯობესებდა. იმედი მაქვს, ამაზეც იფიქრებთ და ერთმანეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების სურვილი გაგიჩნდებათ“, – მიმართა სტუდენტებს თამარ გაგოშიძემ.

სტუდენტებმა პროფესორ-მასწავლებლებს სამახსოვროდ ყვავილები აჩუქეს. სიმბოლურად ქოთანში ჩარგული ისეთი ყვავილები, რომლებიც ფესვებს არ არის მოწყვეტილი და მალე არ დაჭკნება.

უნივერსიტეტი

მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი
მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი
მანანა ჯურხაძე

ჟურნალისტები:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტი
ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა
ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი,
იაგო კაჭკაჭიშვილი,
ეთერ ხარაიშვილი,
ლადო პაპავა,
მანანა შამილიშვილი,
თემურ ნადარეიშვილი,
ლადო მინაშვილი,
მორის შალიკაშვილი,
ნინო ჩიხლაძე,
გიორგი ჟაიანი,
არსენ გვენეტაძე,
მარიამ ცისკაძე,
ნინო ჭალაგანიძე,
ირმა რუხაძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62
ვებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge
ელ.ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge

წამყვანები:
თამარ ჩიქოვანი,
იაგო კაჭკაჭიშვილი,
რამაზ საყვარელიძე,
გიორგი კეკელიძე

უყურეთ!
ყველა სიახლეს - აქცენტებით, პრობლემას - განსჯით, აწმყოსა და წარსულს - გადაფასებით გადაცემაში „უნი-ვერსია“ საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში